

წიგნაკრები საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

13 ოქტომბერი 2023წ. №14 (4074) გამომცემის 92-ე წელი ფასი 2 ლარი



2023 წლის 3 აგვისტო, 16 საათი – შოვის ტრაგედიის დასაწყისი, რომლის ექო არ წყდება. 32 ადამიანის სიცოცხლე შეინირა არნახული სიდიდის ღვარცოფმა. ვნახეთ მოვარდნილი მენყერი, რომელმაც ცოცხლად დამარხა ადამიანები. ლექსიდან გადმოსული რეალობა ისევ ლექსად ილექება მესხიერებაში.

ბიორბი ლოპხანიძე გვამის ამოცნობა

საზარელია, როცა ტალახს ჩასჩერებხარ... ტალახიდან გვამი ამოაქვთ – სახენაშლილი, პირმორღვეული, უცნაურად გამოშვივნილი, გულის ადგილას დიდი ლოდი აქვს, რომელსაც მკერდი შეუწგრევია, თვალები ლაფით გადაგლეხილი...

მეკითხებიან: აბა, ეს არი?! ვუყურებ შურის ღორწოთი შეჭმულს, გაბოროტებით ღრანჭმოქცეულს და ვფიქრობ: ალბათ... როგორ იტანჯა! – სანამ მთლიანად ჩაიხვევდა ბოდმის ღვარცოფი...

– არა! – ჩუმად ვეუბნები: – ეს ის არ არის! ვერ ვიციანი. არც მინდა ვიცნო, მინდა, სანამ მე ვიქნები, ჩემში ისიც ცოცხალი დარჩეს! როგორიც მასსოვს:

ლამაზი, ბინძურებელი!

გაგონებას გაგონებაზე

ხუთშაბათს, 5 ოქტომბერს, შუადღის პირველის ნახევარზე, მეგობარმა დაურეკა და უთხრა: „ნობელის პრემია შენია, ძმაო!“

ძალიანაც არ გაჰკვირვებია. მშვიდად მიიღო, რადგან ამ დღეს ოცი წელი ელოდა...

იუნ ფოსე. ნორვეგიელი პროზაიკოსი, დრამატურგი, პოეტი, ესეისტი.



დაიბადა 1959 წლის 29 სექტემბერს ნორვეგიის სამეფოს რუგალანის გუბერნიაში. გაიზარდა სტრანდებარმში. შვიდი წლისა ბენგზე გადაურჩა უბედურ შემთხვევას. ამ ამბავმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის, რომ მწერალი გახდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ბერგენის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, სადაც ლიტერატურისმცოდნეობის საფუძვლებს ეუფლებოდა. სადებიუტო რომანი „ნითელი, შავი“ გამოაქვეყნა 1983 წელს, სადებიუტო პიესა „და არასოდეს დაეცილდებით ერთმანეთს“ – 1994 წელს.

1996 წელს გამოაქვეყნა რომანი-დილოგია „მელანქოლია I და მელანქოლია II“, რომელშიც ლარს ჰერტერვიგის, ფანტასტიკური პეიზაჟების მხატვრის, ცხოვრება არის აღწერილი.

გამოქვეყნებული აქვს ოცდაათამდე პიესა და დაახლოებით ამდენივე პროზაული კრებული.

ნობელის კომიტეტმა იუნ ფოსეს პრემია მიანიჭა „ნოვატორული დრამებისა და პროზისათვის, რომლებშიც გამოხატულია ის, რაც არ გამოიხატება“.

(თემის გაგრძელება იხილეთ მე-15 გვერდზე)

მილოცვა

ქალაქური კოდის გამხსნელი

რამდენი დრო გასულა, რამდენი ხანი, რამდენი მოვლენა, მანძილი, გზა, სიტყვა, სათქმელი, თქმული და უთქმელი...

ზაალ სამადაშვილი სამოცდაათი წლისაა.

დრო ყველაფრის გამომცდელია. ცდის გრძნობებს, ემოციებს, ხასიათებს, ცდის ყველაფერ იმას, რისგანაც შედგება ადამიანი.


დრო გვცდის და არ გვიცდის. მიუხედავად ამისა, ასე მგონია, ისევ იქ ვარ, იმ დროში, როდესაც ლიტერატურულ მიმოხილვებში ახალგაზრდა, პერსპექტიული ავტორების სიაში ვკითხულობდი მის სახელს.

კოსმოსურ აჩქარებას არ ცნობს გონება. არც არის საჭირო.

სამოცდაათი წლის მწერალი ახალგაზრდა მთელი თავისი შემოქმედებით. თავიდანვე ახალგაზრდებზე წერდა. ახალგაზრდული მსოფლხედვა და სულისკვეთება არ შეუცვლია, არ გადაუხვევია არჩეული თუ ბედისგან ბოძებული გზიდან, რადგან აქვს თავისი სივრცე, საქმე, მისია, მიზანი. თვალის ერთი გადავლევით ეს გზა რთულ ზიგზაგებად მოჩანს, მაგრამ ამ კონტრასტულმა შუქ-ჩრდილებმაც ჩამოაყალიბა ზალიკოს შემოქმედებითი ნატურა.

დაამთავრა მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, მუშაობდა ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, გეოლოგიურ ექსპედიციაში, მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში, ტექნიკური უნივერსიტეტის ავტომატიკისა და ტელემექანიკის კათედრაზე. შემდეგ იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მწერალთა შემოქმედებითი გაერთიანების წევრი, გაზეთების – „მამულია“ და „ქომავის“ თანამშრომელი, ჟურნალ „XX საუკუნის“ მთავარი რედაქტორი, ტექნიკური უნივერ-

ზაალ სამადაშვილი – 70




სიტეტის ლექტორი, 53-ე საჯარო სკოლის დირექტორი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე...

იქნებ სავსებით სიმბოლურიც იყო, რომ თბილისის საკრებულოს მეთაურის პოსტი ეკავა. ვინ ჰყავს დედაქალაქს უკეთესი მემკვიდრე. უშუალოდ ნანახ-განცდილის აღწერით დაიწყო და მეცხრამეტე საუკუნის სიღრმეებამდე ჩავიდა. „პლენარული ამბები“ ან „ჩემთან თბილისში“ – ეს არის ის, რაც გვაკლდა, ქალაქური ცხოვრება ახლო ხედვითა და შეუმჩნეველი დეტალებით, სითბო, სიყვარული, ერთგულება, ხედვა, დაკვირვება, ანალიზი. უპირველეს ყოვლისა, ადამიანები და მათი ბედი, ხასიათები, ყოფა, გაძლებების წესი. გადააქვს ქალაქი ტექსტად, გნებავთ, მეტატექსტად, და რაც უფრო დაკვირვებით კითხულობ, მით უფრო ხშირად გახსენდება, რომ პიტერ აკროიდი ჰყავს ლონდონს, ჰენრი მილერი – ნიუ-იორკს, ჯოისი – დუბლინს, თუნდაც ისევ თბილისს – ნიკოლოზ გაბაონი, და არის ამ ტიპოლოგიაში სახალისოც, საყურადღებოც, დასაფასებელიც. ასეთი ერთგულებითა და ჟანრული მიზანდასახულობით დღეს ცოტა მუშაობს ქართულ პროზაში. ჰოდა, რაც მეტს წერს, მით უფრო ცხადყოფს, კიდევ რამდენი ქალაქური შტრიხკოდი აქვს გასახსნელი, რამდენი დასაწერი, გადმოსაცემი, გასაზიარებელი.

ის ჯერ ხომ სულ სამოცდაათისაა... ვულოცავთ!

ივანე ამირხანაშვილი

<p>„ეს მე ვიყავი!“</p> <p>განიკ სარანაული</p> <p>83.3</p>	<p>პოეტური კრებულიდან</p> <p>ივანე ამირხანაშვილი</p> <p>83.7</p>	<p>უზრუნველი ცხოვრება</p> <p>გია პაპუაშვილი</p> <p>83.8-9</p>	<p>მათრახიანი წმინდა ბიორბი</p> <p>ირინე აბასაძე</p> <p>83.14</p>	<p>თავისუფლება</p> <p>ავილ ელშარი</p> <p>83.15</p>
---	--	---	---	--



ბენიკ ხარანაული

– ერთადერთი აზრი და გამართლება ადამიანის არსებობისა არის ის სილამაზე, რომელსაც იგი ქმნის. ეს ის სურათებია, რომლებსაც იგი ხატავს, ის მუსიკაა, რომელსაც თხზავს, ის წიგნებია, რომლებსაც წერს და ის ცხოვრებაა, რომელსაც იგი ეწევა... – სომერსეტ მოემი

თქვენ რას იტყობთ? თქვენთვის რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ცხოვრებაში, რა გაძლევთ სასიცოცხლო ძალას?

– სომერსეტ მოემი წერს თავისუფალ ადამიანზე, რომელიც თავისუფალ სამყაროში დაიბადა, ქმნის და ცხოვრობს. რაც შეგვჩვენებს ჩვენ, ქართველებს: ქართველ შემოქმედსა და მის შემოქმედებას შორის ოდითგანვე კედელივით არის აღმართული სამშობლო, მისი ბედი და უბედობა. აკაკი წერეთელი ამბობდა: „მოცლა რომ მქონოდა, ციდან ბულბულს ჩამოვიყვანდიო“, რატომ არ ეცალა პოეტს? იმიტომ, რომ მისი გული და გონება მუდამ სამშობლოზე ფიქრით იყო დაკავებული.

ჩემთვის უარესად მნიშვნელოვანია სამშობლოს ბედ-ილბალი. საით მივდივართ, რა მოგველის? ამაზე ხშირად ვფიქრობ. სასიცოცხლო ძალას მაძლევს ჩემი შემოქმედება და არ ვარ ორიგინალური. ალბათ, ყველა შემოქმედისთვის ეს არის მთავარი.

– „ცხოვრების ხელოვნება უფრო ჰგავს ბრძოლის ხელოვნებას, ვიდრე ცეკვას. ეს მოითხოვს მზადყოფნას და სიმტკიცეს, როგორც მოულოდნელს, ისე გაუთვალისწინებელს“ – მარკუს ავრელიუსი.

თქვენთვის რა არის ცხოვრება?

– ხელოვნების და თამაშის გარეშე ჩემთვის ცხოვრებას აზრი არ აქვს. თამაშსაც თავისი წესები აქვს. ზოგჯერ თამაში სასტიკიც არის, სისხლიანიც, მაგრამ სასიცოცხლოდ აუცილებელი, ადამიანის გამოსახატად და მისი შემოქმედების გამოსავლენად.

– ხელოვნებაში მისტიკა მიჩნეულია შთაგონების უმთავრეს წყაროდ.

ფიქრობთ, რომ იდუმალი, ზებუნებრივი ძალა შთაგონებს ადამიანს შემოქმედებით იდეებს?

– შესაძლებელია, ასეც იყოს. მე პირადად მხოლოდ რამდენიმე მომენტი მახსენდება, და ყველა ადრეული ბავშვობიდან.

– „მშვენი და ნეტარ ცხოვრებაში პოეზია არ არსებობს! აუცილებელია, რაღაცამ სული აღძრას და წარმოსახვა დაწვას“ – დემოკრიტი.

თქვენს შემთხვევაში რა ინვესტის სულის სიღრმეების შეძერასა და წერის ჟენს?

– სიტყვა. ან ფეხს ნამოკრავ, ან დაგეცემა, ან დაეჯახები და წაღებული ხარ. სიტყვაა ჩემი მთავარი იმპულსი.

– თქვენ ცნობილი ხართ, როგორც ერთ-ერთი სათავის დამდები ვერლიბრისა ქართულ პოეზიაში.

რამ გიბიძგათ შეგეცვალათ ტრადიციული ქართული რითმიანი ლექსი?

თუმცა რითმიანიც არ არის უცხო თქვენთვის.

– 14-15 წლის ვიყავი, ჩემი პირველი ლექსები რომ დაიბეჭდა ჟურნალში, გრიგოლ აბაშიძის შემწეობით. არც მაშინ და არც მერე არასოდეს მიფიქრია, რომ იმას, რასაც ვწერდი, ვერლიბრი დავრქმეოდა. ვწერდი ისე, რომ ჩემი სათქმელი მეთქვა მკაფიოდ. ეს იყო და დღესაც ეს არის ჩემთვის მთავარი.

– თქვენს ერთ-ერთ ცნობილ ლექსში ამბობთ: „ათასგან დარჩა ჩემი უფალი სახის ნიღაბი... ზოგან ვაჟკაცის, ზოგან ლოთის და ზოგან ლაჩრის, მაგრამ მე ყველგან, ყველასათვის უცნობი დავრჩი...“

„ეს მე ვიყავი!“

თუ ფიქრობთ, რომ დღეს მაინც სათანადოდ გაგიცნოთ ჩვენმა საზოგადოებამ და დაინახა თქვენი ნამდვილი სახე... – ადამიანი შეიძლება დაინახოს და შეაფასოს, მაგრამ მისი გამოცნობა შეუძლებელია.

– „ყველა ადამიანი იბადება გარკვეული საქმისთვის, ყველას, ვინც დაინახა დედამინაზე, აქვს თავისი მოვალეობები ცხოვრებაში“ – ერნესტ ჰემინგუეი.

ფიქრობთ, რომ სრულად შეასრულეთ თქვენი მოვალეობები?

– მგონია, რომ ჩემი მოვალეობა არის წერა. შემძლია, ჩემს თავზე ვთქვა, რომ „ეს მე ვიყავი“.

– ნათქვამია, რომ სულიერი სიმშვიდის მოპოვებას ვერ შეძლებთ საქმიანობაში ან სიამოვნებაში, არც მშვიდობიან ყოფაში და მონასტერში, არამედ მხოლოდ საკუთარ თავში... თქვენ თუ მოიპოვეთ სულიერი სიმშვიდე ქალაქიდან შორს?

– სულიერი სიმშვიდე და გეოგრაფია არანაირად არ არის დაკავშირებული. სულიერი სიმშვიდე მხოლოდ საკუთარ თავშია. სულიერი სიმშვიდე ძნელია.

– რა დამოკიდებულება გაქვთ საკუთარ თავთან? თვლით თუ არა, რომ ეს განსაზღვრავს სხვებთან ურთიერთობას და რეალობას ჩვენს გარშემო?

– ჩემს თავთან მაქვს უღმობელი დამოკიდებულება. არავისთან არ ვარ ისეთი მომთხოვნი, სასტიკი და დაუნდობელი, როგორც საკუთარ თავთან. სხვებთან და გარე სამყაროსთან მიმტევებელი ვარ, სხვისი ბედის მიმართ – გულმონყალე.

– „ყოველი ჩვენთაგანი მარტოდმარტოა ამქვეყნად: ირგვლივ ყრუ გაღავანი აქვს შემოვლებული და სხვას მხოლოდ ნიშნებით აგებინებს სათქმელს, მაგრამ ეს ნიშნები ყველას ერთნაირად არ ესმის, ასე რომ, მათ ბუნდოვანად, გაურკვევლად მიაქვთ თავიანთი აზრი მეორე ადამიანამდე.“

მთელი სიცოცხლის მანძილზე მონდომებით ვცდილობთ გავუნაწილოთ გულის საუნჯე მოძმეს, მაგრამ მათ არ ძალუძთ ამ საუნჯის მიღება და ამიტომ ყოველთვის მარტო ვრჩებით საკუთარ თავთან; გვერდით მიჰყვები ამხანაგს, მაგრამ უფალი ხარ; საუბრობთ, მაგრამ ერთმანეთისა არა გესმით რა.

ჩვენ თითქოს ყარბები ვართ და თითქმის ვერ ვახერხებთ ამ უცხო ქვეყნის ენაზე საუბარს;

უამრავი ლამაზი და ბრძნული აზრი გვიტრიალებს თავში, მაგრამ ვერ გამოვთქვამთ და იძულებული ვართ, მოკლე სასაუბრო წერნიდან ამოვიტოვოთ ნინდადებები და ვაკმაყოფილო, ტვინი ლამის აგვიდულოს ამდენმა ერთიმეორეზე უკეთესმა აზრმა, მაგრამ თქმით მხოლოდ დაახლოებით ასეთი ფრაზის თქმა შეგვიძლია: „მებაღის დეიდას თავისი ქოლგა დარჩა ოთახში“ – სომერსეტ მოემი.

ფიქრობთ, ამ ციტატით ბევრი ადამიანის სათქმელი ითქვას თქვენ თუ ამოცანით საკუთარი თავი ამ სიტყვებში?

თქვენც თუ გრძნობთ იგივეს სხვებთან ურთიერთობაში?

– ასეთი რამ ყველას გვიგრძნია, მაგრამ სინამდვილისთვის ვერც ვერაფერი დავგვიკლია. შემოქმედებაშიც ასეა: სხვა ვიგულისხმე და სხვა გაიგეს. ამას მიჩვეული ვარ. ეს ჩვეულებრივი მოვლენა მგონია. ასეთია ადამიანი.

– „არაფერი აღვივებს მოგონებებს ისე, როგორც სურნელი“ – სომერსეტ მოემი.

თქვენთვის რომელია ბავშვობის საყვარელი სურნელი?

– რძის სურნელი არის ჩემი ბავშვობის სურნელი. ლექსიც მაქვს „რძის ფოსტა“, რომელიც ჩემს ბავშვობას მიუძღვეს.

– რომ შეგეძლოთ ფერით გამოხატოთ, რა ფერს დაუთმობდით თქვენი განვლილი ცხოვრების თითოეულ პერიოდს და რატომ?

– ზამთარი თეთრია, გაზაფხული და ზაფხული – მწვანე, შემოდგომა – ყვითელი. ეს არის ჩემი ფერები. მხოლოდ ამაში ვერკვევი.

– თქვენი აზრით, რამ გამოიწვია რომანტიზმის გაუფერულება ურთიერთობებსა და მწერლობაში?

– დრომ! დრო აჩქარდა: ცხოვრება გახდა პრაქტიკული, დატვირთული, ნარმატებაზე ორიენტირებული და სევდის ადგილიც დაიკარგა. და სევდა კი წყაროა რომანტიზმისა.

– „ის რაც არ მოგვწონს სხვებში, გვეხმარება შევიცნოთ საკუთარი თავი“ – კარლ იუნგი.

თქვენ რა გეხმარებათ საკუთარი თავის შეცნობაში? თვლით, რომ კარგად იცნობთ საკუთარ თავს?

– საკუთარი თავი რომ შევიცნო, დამთავრდები კიდევაც. „რა ვქნის“ ციხეა ადამიანი. ხოლო ყოველი დანერგილი სიტყვა „არის მოკლება წყვდიადისა“.

– რა დამოკიდებულება გაქვთ მთასთან, მშობლიურ კუთხესთან?

– მიყვარს და მანუხებს. მეტს ვერაფერს ვიტყვი.

– რა მსგავსი განცდა უფლება ადამიანს მთის მწვერვალზე და სამოღვაწეო ასპარეზის მწვერვალზე ყოფნისას?

– მთის მწვერვალზე რომ ახვალ, იცი, რომ ახვედი. მთის მწვერვალზე რეალურია. რაც შეეხება სამოღვაწეო მწვერვალს, ის არასდროს არის რეალური. სულ გგონია, რომ გზა კიდევ არის გასავლელი იმ ილუზორულ მწვერვალამდე.

– მთის ყველა ძლიერი სალოცავი წმინდა გიორგის სახელით ილოცება, გვაქვს ღვთისმშობლის სალოცავები, თამარ მეფის სალოცავი უკანაფშავეში. მარიამობა საერთო სახალხო დღეობაა, მიუხედავად ამისა, მთიელებს რატომღაც

მტკიცე ქრისტიანებად არ მიიჩნევენ; თქვენ რას იტყობთ ამის შესახებ, როგორც მთიელი?

– ჩემი აზრით, ჩვენი მთის სალოცავები და რიტუალები უფრო ახლოა „ძველ აღთქმასთან“, ვიდრე „ახალ აღთქმასთან“. ყველასთვის ცნობილია, რომ მთის ხატები ტრანსფორმირდნენ ქრისტიანულ წმინდანებად და მათში ერთ-ერთი მთავარი წმინდა გიორგია. თუმცა, ქრისტიანულ წმინდანებს ბუნებრივად შეერწყა ძველი ხატების თვისებები, რაც მთიელების მახსოვრობაშიც და ყოფაშიც დღესაც ცოცხალია. ეს არის და ეს.

– „ეს არის ჩვენი დედამინაზე ყოფნის აზრი; ვიფიქროთ, მოვძებნოთ და მოვუწმინოთ შორეულ, გაუჩინარებულ ხმებს, რადგან მათ უკან ჩვენი ნამდვილი სამშობლო იმალება“ – ჰერმან ჰესე.

რა არის თქვენთვის სამშობლო?

– ჩემთვის სამშობლო არის ენა. ქართული ენა.

– „ჩვენ ყოველთვის არა ვართ დაზღვეულები იმ შეცდომებისაგან, რომლებსაც გამოცდები სხვებს დავცინით“ – ზიგმუნდ ფროიდი.

თუ გაქვთ სინანული წარსულის შეცდომების გამო? რომ შეგეძლოთ თავიდან ცხოვრების დაწყება, რას გამოასწორებდით?

– რა თქმა უნდა! ცხოვრება ჩემი შეცდომებისგან შედგება, მაგრამ კმაყოფილება უარესია, კმაყოფილებისგან ვერაფერს სწავლობს ადამიანი. არაფერსაც არ შეეცვლიდა ჩემს ცხოვრებაში.

– იტალიაში ყოფნის დროს ერთი ცნობილი ადამიანის მეტად ორიგინალური შეხედულება მოვისმინე, რომლის მიხედვითაც ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავება ის არის, რომ მამაკაცებს გააჩნიათ მხოლოდ „ფერები“, ხოლო ქალებს ფერებთან ერთად აქვთ „შუქრდილებიც“... თუ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

– ადამიანი, ქალიც და კაციც მრავალფეროვანია. რაც მეტი ფერი აქვს ადამიანს, ქალი იქნება თუ კაცი, მით უფრო საინტერესოა.

– „არ გვაქვს უფლება, მოვიტოვოთ ბედნიერება, თუ მას ჩვენ თვითონ არ ვქმნით“, – ბერნარდ შოუ.

ჩემი აზრით, მხოლოდ ბავშვობაშია შესაძლებელი, იყო უპირობოდ ბედნიერი, ზრდასრული ადამიანის ბედნიერება პირობითია თითქმის ყოველთვის...

რა არის თქვენი აზრით ბედნიერება და რაზეა თქვენ შემთხვევაში დამოკიდებული?

– ჩემი აზრით, ბედნიერება ნამია მხოლოდ, ან წუთი. „ბედნიერების შექმნა“ ვერ წარმომიდგენია. რაც შეეხება ბავშვს, ის, რა თქმა უნდა, შეიძლება იყოს ბედნიერი, ზრდასრულებისგან განსხვავებით. ბავშვის დრო ხომ არ შედგება წარსულის, აწმყოსა და მომავლისგან. ბავშვი ცხოვრობს აქ და ახლა, და ეს სწორედ ის მდგომარეობაა, სადაც შესაძლებელია ბედნიერება.

– „არ ისურვოთ ჯანმრთელობა და სიმდიდრე, ისურვოთ ილბალი. ტიტანიკზე ხომ ყველანი მდიდრები და ჯანმრთელები იყვნენ, მაგრამ ილბალიანი მხოლოდ რამდენიმე აღმოჩნდა“ – უინსტონ ჩერჩილი.

თქვენ თუ გჯერათ ბედისწერის?

– მჯერა.

– თავისუფლებისადმი სწრაფვა ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა. ადამიანის სულიერი მდგომარეობით გამოიხატება, თუ რამდენად თავისუფალია იგი.

„ვინც კეთილია, თავისუფალია, თუნდაც მონა იყოს; გაბრაზებული მონაა, თუნდაც მეფე იყოს“ – ავრელიუს ავგუსტინე.

თქვენთვის რა არის თავისუფლება?

თუ გრძნობთ თავს თავისუფალ ადამიანად?

– თავისუფლება ის მთავარი ღირებულებაა, რომლისკენაც უნდა მიისწრაფოდეს ადამიანი. თავისუფლებისთვის ღირს სიცოცხლეც და სიკვდილიც. რაც შეეხება მეორე შეკითხვას: როგორ შეიძლება თავისუფალ ადამიანად წარმოვიდგინო თავი მე, ვინც საბჭოთა კავშირში დავიბადე და გავიზარდე... ქვეყანაში, სადაც სიტყვა „თავისუფლება“ კი აკრძალული იყო და ისჯებოდა.

– „სიყვარული ერთია, მაგრამ მისი იმიტაცია – ათასი“ – ფრანსუა დე ლაროშფუკო.

მე სრულიად ვიზიარებ ამ აზრს და ვთვლი, რომ ნამდვილი სიყვარული არის უპირობო, უანგარო და გულწრფელი გრძნობა...

თქვენ თუ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

– სიყვარულია სიცოცხლის დასაწყისიც და დასასრულიც. სიყვარულის ბადალი მხოლოდ სიყვარულია.

– ნათქვამია, რომ ყველა ადამიანი იბადება გარკვეული მისიით და რომ „ჩვენი აზროვნების ნამდვილი სარკე ჩვენი ცხოვრებაა“... – მიშელ დე მონტენი.

ფიქრობთ, რომ თქვენი ცხოვრება თქვენ შინაგან სამყაროს ასახავს?

– მართალია. ჩემი ცხოვრება ჩემს შინაგან სამყაროს შეესაბამება. არც პლაგიატით მიცხოვრია და არც მიბაძვით.


– როგორ საქართველოს გინდათ რომ მოეწონოთ და რას ისურვებდით თქვენს შემდეგ?..

– თავისუფალი საქართველოა ჩემი ოცნება, ქართული სულით და ჰუმანისტური ღირებულებებით.

ესაუბრა

ნათია სორნაული

თვალი მხედველი



ვანო ჩხიკვაძის ლექსებს რომ კითხულობ, ხედვები, სამყარო არასოდეს დაკარგავს პოეტურობას.

ლიც თვითონ ქმნის ამ დროსა და სივრცეს. ყოველი მხერვა, ყოველი რაკურსი, ყოველი გაღვება შეიძლება პოეტურ ფაქტად გადაიქცეს, ოღონდ, უბრალოდ, თვალისაა საჭირო, რომელიც საგნებს კი არ უყურებს, არამედ ხედავს.

მხრივ, გადარჩენილი სიკეთისა, სილამაზისა, მშვენიერებისა. ამ კრებულში შეხვედებით ყველა თემას, რაც დღეს საქართველოს აწუხებს, რაც მომავალშიც შეაწუხებს და რაც დარჩება მუდმივ სასიცოცხლო პრობლემად.

აღიქვამს თითოეულ საგანსა და მოვლენას. ვანო ჩხიკვაძის მსოფლმხედველობაში პოეტურობა ნოვალისის გამონათქვამის პერიფრაზი რომ გამოვიყენოთ, მისთვის ლექსი არის მინიატურაში მოცემული სამყარო, სამყარო კი – გავრცობილი ლექსი.

მისთვის დროის შვილია, ეპოქის მხატვრული მემკვიდრეა. ამ გაცვეთილ სიტყვებში არის რაღაც დიადი და საზარელიც. გააჩნია, როგორ შეხედავ, როგორ განიცდი, როგორ გადმოცემე.

მისარია, რომ ვანოს კრებულს გოგი წერეთლის მხატვრობა ამშვენებს. გოგი, ამჟვენიდან უდროოდ წასული ჩვენი დიდი მეგობარი, უაღრესად დახვეწილი, გემოვნებიანი ოსტატი, სწორედ იმ ტრადიციულ მორალურ-ეთიკურ ფასეულობებს იცავდა, რომელთა პოეტურ აპოლოგიას ვკითხულობთ მოცემულ ნიგნში.

ვანო ჩხიკვაძე

ყირობანი

1. ნიგნების სასაფლაო

ნიგნებსაც შეეყარათ საუკუნის ვირუსი, სამუდამოდ ჩაძირეს ნემოს „ნაუტილუსი“ ასე შორს რომ გეგონა, თურმე, ისე ახლოა, სადაც მარადიული ჩვენი სამოსახლოა.

გაილანენ ნელ-ნელა, სამოციანელებიც, კარგი დახლი დაუდგათ მოციქულებს ბნელეთის.

„ბატისფრთის საუკუნე“, სიბრძნე ავრელიუსის, უკვე დაბლოკილია „მაუსით“ და „ნიუსით“.

„ციციერო“ და „შპონები“ – მეტრამპაჟის ვერდიქტი, მხიარული მთავრული, ნარბშეკრული პეტიტე.

ბოლო ჭირისუფალი, გაცრეცილი ქიტონით, კატაფალკას გაჰყვება შენი კოჭლი სტრიქონი.

მოვა სულ სხვა ვინმე და ქუდს ჭერისკენ აისვრის, ერთხელაც არ გიკითხავს: „იმ მელექსის რა ისმის?“

სამშობლოზე, ხანდახან თავს რომ მოიმწუნარებს, არც ის იცის, რატომ სძულს, ან – რად უნდა უყვარდეს,

ნიჭის და უნიჭობის მიწუსი და პლიუსი – ნიგნებსაც შეეყარათ საუკუნის ვირუსი.

გზისპირზე ჩამომდგარან დაზნექილი ტონებით, მკვდარი ტომეულების მძიმე ეშლონები.

ჩამონერეს ნიგნები დახლქვეშ გადამალული, ყელში ამოსულები პეტიტით და მთავრულით.

აღბოში დაფრენილი კენკავს ჩიტი თავნება, ჯავშნოსანზე შემომდგარ ილიჩის ბრწყინვალეობას.

ვინდა დაატრიალებს უკან დროის ონიზარს, ველარავის ამინებს ცვილის კაცის თოჯინა...

ვინ დათვალა, ვინ იცის, დასტამბული ცხედრების, კალმოსანთა ნაღვანი ტექსტის კილომეტრები.

გაილანენ ნელ-ნელა, სამოციანელებიც, კარგი დახლი დაუდგათ მოციქულებს ბნელეთის.

გაქრენ, როგორც თავზემთი ჩიტმა გადაიფრინოს, ველარ მოვლენ, თავისი „მკვდრები“ რომ დაიტირონ.

მხოლოდ შეღამებულზე, საფლავებთან ნიგნების, როგორც ჭირისუფლები – აჩრდილები იმ წლებში, გულსელდაკრეფილები დგანან „ლინოტიპები“...

მიდის ნუთისოფელი, მობრძანდება დაისი, თუ არც მოგიკითხავენ: „იმ მელექსის რა ისმის?“ –

ვიდრე საკურთხევიდან ნირავს იამბიკონი, ინვის ერთი სანთელიც – შენი კოჭლი სტრიქონი.

2. არჩევანი

ახლაც რომ მახსენდება „ხუთწლედების ტრანსი“ – ინყებოდა ტაშით და მთავრდებოდა ტაშით.

ხომ ისევ მოუჭირეს წმინდა გრძობებს ქანჩი – ტაშით დაინყებენ და ამთავრებენ „ლანჩით“.

ბევრიც რომ მოვიდომო, სულ ვართ ბარიბარში, გინდ, იჯექი სოროში, გინდ, გამოდი კარში.

ყვითელ არხზე, ღაბუა გემოდღვრავს „ტელემატრონა“: „მერამდენედ თავლია დარჩა ყუთი პანდორას – ბედისწერის კანტორას სნობი დაეპატრონა!

აქეთაც და იქითაც მემამბოხე ბუნტია, ვიდრე „ევრობუნავის“ ცხრაკლიტულთან ყუნტია, მეროჭიკე სამშობლო, ძველი „მაკინტოში“, ხელეში შემოგვტირის, გადაცვილი „როკოში“...

„მოაცილეს მესამე რუზველტსა და ჩერჩილს, მაინც ხომ გაუხუნეს სისხლიანი ფრენჩი –

ვინ დარდობს, დედამინას გული რომ არ ერჩის, თირკმელში თუ გაუვლის ატომურის „კენჭი“!

აღშფოთებულ მატრონას მიშვებული სადავე, გაავებულ ძუძუებს ლიფშიც ველარ აკავებს.

კიდევაც მოუზრიგდე, მოხვინსას ან მკაში მაინც მაცთუნებელი – მწიფს სამოთხის ვაშლი.

სულ ბენზე რად ჰკილია გადარჩენის შანსი, ჩემს ბედზე ვინ მჩხიბაობს სადღაც პასეანსით?!

კვირტი გაზაფხულისა – ამოჭრილი კბილი, სარზე, ვაზი კი არა, საქართველო ტირის!...

ჩაიჭერი, ვერ მიხვდები ჩარჩენილი „კლასში“, რა სჯობია, ლანჩი თუ ტაში, ტაში, ტაში?!

3. ტახტი

(მოზრდილებისთვის) ვინ არ იცნობს ღრუტუნას – უღრანეთელ ტეტისას, რკოს და პანტის გორები რაც ამას უთქვლევია.

ჭორავს ჩხიკვის მამიდა; – მისთვის ეროც ქონია, წითელ ნიგნში შევიტანთ, ეს რა მადა ჰქონია!

ემონებმა შოშია: – საქმე განა რკოშია, სხვები რატომ არ ახსოვს, რომ სწყურიათ, რომ შიათ?!

„ფილიპის“ თუ „ბოშია“, ტახს ასეთი ხოში აქვს, გავიხედოთ, გორშია, პარიზში ან რომშია.

ვფიქრობთ, იქნებ ეშველოს, მაგრამ ღორის ჯვალოთი რა ხვითოსაც გაუშვებთ, ის ღრუტუნა ჩამოდის.

ამბობს ჩხიკვის მამიდა: – გამოკითხვა რად მინდა, ისეც მომეხსენება, ჩვენში ბევრი „ამრევობს“ თავს მოვიჭრი, დინგიანს ვინმე თუ არ მფარველობს.

გააოცა ტურაც და, ცბიერებით – მელიაც, ძველი ქურდბაცაცები ერთ ხმაში რომ მღერიან.

ერვინება, ღრუტუნას შთაგონება ავალებს – ხან მუზას ერკინება, ხან დრომოჭმულ ანალებს.

მადა ჯერ არ ღალატობს თვითმარქვია საჩინოს, წელსაც ხილი დაღობას უნდა გადაარჩინოს.

რად გვეთქმის, კაჭკაჭი ამბობს, ჩვენზე ახია, ღრუტო, გვინდა თუ არა, სალორეთის სახეა – ბოლოს ლაფში ჩანვება, ტახტი მაინც ტახტია!

4. არითმია

ველარ არჩევენ მტერს და მოკეთეს, ერთმანეთისგან – ღვარძლს და სიკეთეს, მიკიჟინებენ: „თუ არ მოკეტავ, ორპირში კარი მაინც მიკეტე!“

გლოცავ ემანსი – პაცის მადლო, აქეთ იტაცებს დიაცი ფადლონს! გადაიფინებს ცოცხი და უთო, ჩვენი ქალებიც შეენყვინენ თუთუნს, „ჯიპის“ საფარძლებს მოარგეს გავა – ყავასთან ერთად, თუთუნიც ნავა!...

გაქრები, როგორც სიმღერა ქარში. თუ ვერ ჩაუხტი ხელმწიფეს ნავში. ვინ კოვზით, ვინ კი მიორთმევს ჩამჩით – ჩავარდა ლუკმა... ოღონდ სხვის ჯამში.

არ გვიწყაოდა ჯიბეში „გროში“ აღარც ჯიბე გვაქვს დაწყვილი დროში, არც შენს ნათურას ჰქონია ბედი, ედისონ, მწუხრი ისე იცინის, ბოლოს და ბოლოს, გადაწვავს „ედემს“ არითმომიული მაჯის ციმციმი.

რასაც სწადიან, დისნეის ჭუკო, მოაფიქრდება არც თახსირ კუპონს, მონაგონია, რა საქმეც უყო ლენინმა მასებს, სტალინმა – შუკოვს...

კავკასიონის თეთრი ტუხილის, შეტორტმანებულ მთათა ოფორტის გულისცემაზე, ყურმიგადებული დაცურავს მთვარის ფონენდოსკოპი...

ნუ ელოდები, დაინგრა-მეთქი ამფითეატრი ძველი აივნის, დამთავრდა კინო – აქეთკენ ეტლით ქეთო და კოტე აღარ ჩაივლის.

ვინდა გამიშვებს ამ სამოთხედან, შენთვის მლოცველი რად გამიმეტე – მიკიჟინებენ: „თუ არ მოკეტავ, ორპირში კარი მაინც მიკეტე!“

5. ცხენები

უხსოვარი წარსულიდან, უბელო თუ დარახტული, ყიჟინასთან ერთად ისმის ცხენის ფლოქვთა თქარათქურიც.

აღვიძებენ მიძინებულ ქალდეას და ნინევიას, ისტორიის ბარიერთან ერთხმად აჭხინდებიან.

მომაკვდავი დროგის ცხენი მიყურებს და თითქოს მლოცავს, ზღავეზე თვალბტრემლიანი გადააგდებს კისერს როცა.

როგორ გადამავინყდები, ის რაც მოხდა, ცხადში იყო – ცხენის როლში მსახიობის ულაყვიით თოხარიკო.

მარაბდელის ფიცხი ლურჯა კონსტანტინეს არაბია, ბუცეფალი, როსინანტი ერთად ბაგასთან აბიან.

არც საფლავებს მონიშნავენ, არც სახელებს დაანერენ, ვიცი, ბოლოს, რომ ხოცავენ ბებერ, „ქანცგანყვებულ ცხენებს“.

როსინანტო, არ მასვენებს ის, რაც შენთვის ნათელია, თავად დონ კიხოტის „ყმობა“ ჯილდოა თუ სასჯელია?

განზე გადგენ „ჯოროსნები“, „ჯიპოსნების“ არულია, ანყვეტილი ცხენის ძალით ცხენების ჯოგს ჩაუვლიან.

გამჩენი არ მაპატიებს შეუპოვარ ქართა მდევნელს, ჭიქა თუ არ წაუფტყეი, ლექსში თუ არ გავიხსენე.

იმ ცხენებით გადიხვუნენ, თურმე, ვიდრე მიძინებია, წელთაღრიცხვის ფურცლებიდან ქალდეა და ნინევი. სულ ცოტაც და, იქით უკვე ღრმა სიბერის მორევი. აღსავალის კარიბჭესთან დარახტული მოგველიან.

დრო მოვა და გაგარინდებს ნახერხის და ცრემლის გემო, მაყურებლის ღრინცელში ჩაჩოქილო ცირკის ცხენო.

ბედისწერა საფეთქელთან ჩახმახს ვიდრე შეაყენებს, არ ვიკითხავ, რად ხოცავენ ქანცგანყვებულ ბებერ ცხენებს!..

ივანე ამირხანაშვილი

გთავაზობთ რამდენიმე ლექსს ვანო ჩხიკვაძის ახალი ნიგნიდან „აპა, ზამთარი გადასატანი“.

სასიერო გზა ლამის გავანახევრეთ მე და მოლიმ, რომ სრულიად მოულოდნელად ორ მხიარულ და კისკისა გოგონას შევეყარეთ, ძალიან ლამაზებს და კუდრაჭებს, ერთმანეთს რომ ჰგავდნენ. მათში სიცოცხლე ზეიმობდა.

ჩავთვალე, რომ ისინი ამ მხიარული სიცოცხლის სწორედ ჩემკენ მოდიოდნენ და მათ შემდეგარეს მეც გამინათდა გული, გახალსდა, იმედი მიმეცა.

გოგონები ქართულად რომ მომესალმნენ, კიდევ უფრო ავლელი და ადამიანად ვიგრძენი თავი. არც მჯეროდა ეს ყოველივე, რადგან დიდი ხანია უცხო ჩემთვის გამარჯობა აღარ უთქვამს, თუ არ ჩავთვლით შავუბნელ ფრიდონს, ვიდაცის ორპეტრიან შემოღობილ ნაკვეთში თავის რვა ძროხას რომ შერეკავს და აბალახებს ხოლმე.

მოლი დიდი მონდომებით ნა-მოკოტრილადა, მუცელი მოსაფერებლად მიუშვირა და გოგონებმაც მხიარულად ჩაიშხუხეს. ის იყო, ვიქცევი, მათი ასეთი გულითადობაც სწორედ მოლის ეკუთვნოდა, რომ გოგონები ნამოდგენ, თითები სველი ქალღმერთი გაიწმინდეს და კვლავაც წელანდელი სიცოცხლისით მომმართეს, შეიძლება, ერთ შეკითხვაზე გვიპასუხოთ.

ცოტა არ იყოს, დავიბენი. მართალია, პროფესიით ჟურნალისტი ვარ და წლების მანძილზე არაერთი ინტერვიუ თავდაც ამიღია და მეც ვყოფილვარ რესპონდენტი, მაგრამ ეს საქმიანობა ხომ წარსულს ჩაბარდა და განა ვის უნდა აინტერესებდეს ჩემი აზრი, როცა ახალი თაობა საერთოდაც არ მიცნობდა, ქვეყანას კი უამრავი გამორჩენილი ყოვლისმცოდნე ჰყავს, ზედმიწევნით რომ ერკვევიან ყველაფერში.

რა თქმა უნდა, პირველ რიგში, „ფარული კამერა“ ვიქცევი და აყოლაც გადავწყვიტე, მაგრამ, როცა რესპონდენტობას ხალისით დეთანხმდი, გოგონებმა ისე, სიცოცხლისი არ შეუწყვეტიათ, მკითხეს, რომელი მომღერალი მოგწონო.

როცა ვამბობ, გოგონებმა მკითხეს-მეთქი და არ გეუბნებით, კონკრეტულად რომელმა, არ უნდა დამძრახოთ, რადგან, როგორც გითხარით, ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ, თუმცა, რატომღაც, სრულიად უსაფუძვლოდ, დარწმუნებული ვიყავი, არათუ ტყულები, დებიც კი არ უნდა ყოფილიყვნენ.

ორივე საშუალო სიგრძის, ზუსტად შუაზე გაყოფილი, მთელ სიგრძეზე ოდნავ დახუჭუჭებული თმა ჰქონდა, ლამაზი ცხვირები, ტუჩები და იმაზე მსხვილი ნარბები, ვიდრე სხვა გოგონები ატარებდნენ.

ორივე საშუალო სიმაღლის იყო, ოდნავ ტოლმეტეი, ხორციანები. ზომიერი კაბები ემოსათ და ჩემს თანაკლასელებს მაგონებდნენ და ლამის მეც მათ თანატოლად ვიგრძენი თავი.

რაც შეეხება პასუხს, სულ ორიოდ ნაშბი ჩემმა მიძინებულმა გონებამ მაინც მოახერხა და მილიონი ვერსია განიხილა, რას მოელოდნენ ჩემგან გოგონები და რა მიზანი ჰქონდათ. არ მიკითხავს, თუ რა უანრის სიმღერას გულისხმობდნენ, რომელი ეპოქისას, გუნდურს თუ სოლიოს, მამაკაცს თუ დედაკაცს და შეილიშვილებისგან ყურმოკრულს მივინდე. თუმცა სულაც არ მქონდა იმედი, რომ სწორად მასოვდა, ენა გავიტლიკე:

– დრეკი რეპში, ადელი და დუალიზა – პოპში, ნუ, რა თქმა უნდა, ბრუნო მარსი. ქართველებში – მასტერი!

გოგონებმა ერთმანეთს შეხედეს და ორივემ მჭიდროდ მიიფარა პირზე ხელი, ალბათ იმის შიშით,

არაფერი წამოგვცდეს, მე კი ამ მდგომარეობით ვისარგებლე და მოკლე ლექცია ნაუკუთხე ქართულ სიმღერაზე ჰარი ჰარალებად – ბიძინა კვერცხაძემდე.

რა თქმა უნდა, არც კოსმოსში გაგზავნილი ოქროს დისკი გამოჩნენია და არც ის ადამიანები, პირადადაც რომ ვიცნობდი და ვმეგობრობდი. ის კი არა, დავაპირე მათთვის, ჩვენი დროის უდიდესი მომღერლის, თემურ ქვენიშვილის მომცროს სახლიც მეჩვენებინა, სულ ახლოს, მეზობელ ქუჩაზე რომ მდებარეობდა და ლობეს მის მიერვე დანერგილი ტრაფარეტი ამშვენებდა, „მრავალყამიერის ქუჩა N1“. საამისოდ კიდევ ჩავურთე, გოგონებო, საით მიდიხართ-მეთქი და მათაც ნიკაბით სრულიად გაურკვეველი მხარე მიმანიშნეს. მაინც არ შევეპუე და როცა თემურ ქვენიშვილზე ასე ალტაცებით ვსაუბრობდი და მაინც ვცდილობდი, გოგონები მისი სახლისკენ გამეტყუებინა, უცებ სიმარტოვე ვიგრძენი...

შემოვბრუნდი. მართლაც, გოგონები სადღაც გამქრალიყვნენ და მათ



მსახიობი ირაკლი ნინოიძე

გან ნაფერები მოლი კი გაცივებული თანაგრძნობით შემომყურებდა.

მივიხედ-მოვიხედე. ქუჩა ცარიელი იყო. შეიძლება, გოგონები, სულ ოციოდ ნაბიჯში, გზაჯვარედინზე მოფარებოდნენ თვალს, მაგრამ გამოდევნებას რა აზრი ჰქონდა? უნებურად მაინც გზაჯვარედინისაკენ დავიძარი, რომლის სამი გზა შეუპირად ვიცოდე, ხოლო მეოთხეზე დიდი ხანი იყო, ფეხი არ დამედგა, რადგან ჩვენს უბანს რაც ცენტრალური გზიდან დამოუკიდებელი ჩამოსახვევი გაუკეთეს, აქ აღარაფერი მესაქმებოდა.

ეს შესახვევიც მთელს სიგრძეზე ცარიელი დამხვდა, მაგრამ რაღაც ძალამ, ალბათ უფრო ცნობისმოყვარეობამ, მაიძულა მას გავეყოლოდი და იმ ჩიხში შემეყვანა, სადაც, ადრე კოპნია, პატარა, ერთსართულიანი სახლი იდგა და როცა ირგვლივ სიცარიელე სუფევდა, გარემოს ალამაზებდა.

მოლი ახალ მარშრუტს დამატებით სუნებოდა და ხშირი მონიშვნებით ითვისებდა, თან ეჭვითა და ერთგვარი შიშით მიცქერდა.

უცებ სწორედ იმ პატარა სახლის წინ, რომლისკენაც იდუმალად მივიწინააღმდეგე, შეჩერდა და მონადირული სიფრთხილით უკანაც დაიხია. სახლი, უზარმაზარ სასახლეებს, გარშემო რომ შემოსჯაროდნენ, ქონად ექციათ, თუმცა მწვანე ეზო და დიდრონი ხეები კვლავაც სძენდა რაღაც იდუმალებას და ანელებდა უბადრუკობის ამ განცდას.

როცა ორიოდ ნაბიჯი კიდევ გადავდგი და მოუვლელი ვარდის ბუჩქის ქვეშ ლოდზე ჩამომჯდარ და ლობესმიყუდებულ მთვლემარე კაცს გადავანყე, მაშინვე მივხვდი მოლის შემფოთების მიზეზს და უკან მობრუნებაც კი დავაპირე, რომ გონებამ უცბად გადააღაგ-გადმოლაგა წლები, ასე, თხუთმეტოდე და მასში მელორი შევიცანი.

იტყვი, დიდი ამბავი, ვინმე თუ შეიცანი, თხუთმეტი წლის წინათ რომ იცნობდი, მაგრამ როცა გაიგებ, რომ მელორი დაახლოებით

ამდენი წლის წინათ გარდაიცვალა, ლამის თავად გაგაპატიოსნე და მშობლიურ სოფელშიც გაეცდილე, გვირილებისა და თავყვითელების თაიგულით, მშვიდად რომ განესვენა თავის მშობელ მიწაში, ასე არ იტყოდით.

დაიხ, რაც აქ ნაკვეთი გადმოცვალე, მელორი მაშინვე გავიცანი და უცებ დამიახლოვდა. საშუალო ტანის იყო, გამხდარი და მოძრავი. წვერს, როცა მოუხერხებოდა, მაშინ იპარსავდა, ოდნავი ჭალარა კი მხოლოდ თმაში ერია. უღვაში არც ჰქონდა და ვერც უფრო მეტად დაამშვენებდა მის ზომიერ ცხვირ-პირს და უზადო ტუჩ-კბილს, ღმილს რომ არ აკლებდა.

მოქარგული ენა ყველაფერში გეთანხმებოდა, თავად კი, გარკვეული გასამრჯელოს ფასად, ყველანაირ წერილმან საქმესაც შეგისრულებდა, მეტ-ნაკლები წარმატებით.

მერე, მშენებლობები რომ გაჩაღდა, საქმეც მოუმრავლდა და დღე-ღამე უნევდა მუშაობა. დიდი სიხარულით ჰყიდა უკვე დასრულებული სახლების მორჩენილ მასალებს, შეძლებული პატრონები რომ ანდობდნენ მის გასაღებას და ფასსაც ნაკლებად დაგიდევდნენ.

ხარჯი რომ არ მოსვლოდა, მელორი თავადვე დაათრევდა არმატურის ლერებს, ფიცარს, სხვადასხვა ტომრებსა თუ ვედროებს.

მალე მელორს ავტომანქანაში მეგობარი გამოუჩნდა – ვილენი, „გაზ-24“ რომ ჰყავდა, რომელსაც უზარმაზარი, რკინის კონსტრუქციით შეკრული საბარგული ედგა და იმდენ ტვირთს იტევდა, ზოგჯერ ავტომობილი სულაც აღარ ჩანდა.

ვილენიც დამიმეგობრდა. თუმცა მელორივით მხიარული არ იყო და ოდნავ ეჭვიანი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ შრომას არც ის თაკილობდა და შეთხელებულთიანი თავიდან ხშირად იმშენდდა ოფის ყავისფერი ცხვირსახოცით.

როცა მელორი არ იყო, შემომჩიოდა, ბევრ არაყს სვამს და ნაღდად თავს მოიკლავსო, თუმცა, ვატყობდი, დალევთ თავდაც უყავდა და მის სიტყვებს მეგობრულ კინკლაობად უფრო ვთვლიდი.

ბოლოს ბიჭები მეორე სართულის გასაღესად მოტანილი გაჯის ჩამოცლა რომ მიწოდდა, მაშინ ვნახე.

მეორე სართული ქუჩიდან, ზედ მანქანის ძარისპირზე იყო და ჩამოცლა საკმაოდ იოლი გახლდათ, თუმცა მელორი რაღაცას იტყებოდა და პასიურობდა. ასე რომ, თითქმის მე და ვილენმა ჩამოვცალეთ.

ამ ამბიდან კარგა ხანი გავიდა, ალბათ ექვსიოდე თვე, როცა საიდანღაც ვილენი მოვიდა და მითხრა, მელორი გარდაიცვალა და რაიმე ტანსაცმელი ხომ არ გაქვს, ცოტა ადამიანურად რომ შეგმოსო.

ალბათ მე იმიტომ მომმართა, რომ ჩემი და ჩემი შვილების ნაქონი რამდენიმე პერანგი თუ ფეხსაცმელი მათთვის უკვე მქონდა ნაჩუქარი.

მაშინვე გამახსენდა ორიოდ ძველმოდური, თუმცა კარგად შენახული კოსტიუმი, არასოდეს რომ არ ჩავიცვამდი, თუნდაც კვლავაც მომრგებოდა და ვილენს შინ შევუქეხი.

ორივე გავატანე და ვთხოვე, ჩემს სახლთან გამოველო, როცა ნასვენებდა.

უნებურად, ჯერაც შემოუღობაე ნაკვეთში, მინდვრის ყვავილები დავერთე, გვირილებითა და თავყვითელებით ლამაზი თაიგული შევკარი და როცა ნახევარ საათში ვილენი მოვიდა, გადანულ სავარძელზე დადებულ ფირფიცარზე დასვენებულ მელორს, ზენარი რომ ეფარა, თაიგული დაუდევ.

მალე დაგბრუნდები, ძალიან შინაურულად მითხრა ვილენმა, შეიძლება ხვალევე. ზუგდიდიდან კუბ-ნახევარი ფიცარი მაქვს ჩამოსატანი და ეს ამბავი რომც არა, მაინც ნასასვლელი ვიყავი.

მას შემდეგ ამდენი ხანი გავიდა და აღარც ვილენი მინახავს, აღარც მისი მანქანა, კუბ-ნახევარ ფიცარზე რომ არაფერი ვთქვათ...

ის იყო აბეზარი აზრები მოვიშორე და თავი დავაჯერე, რომ ამ ლიოს, მწვანე, დაფაცხავებული ცილინდრი რომ ეფარა და ძილბურანში გახვეულიყო, არაფერი საერთო არ ჰქონდა მელორთან და ნასვლა დავაპირე, რომ კაცმა გაიღვიძა. თვლი გაახილა და ჩვენკენაც გამოიხედა, ანუ მოლისკენ, ფეხებზე რომ მომკვროდა, ცოტა არ იყოს, შემინებული.

– კარგი ძალი გყავს, მაგრამ ის სჯობდა, პირველი... რას ვეძახდით? – თქვა და ხმა რომ მეცნო, ისევე შიში გამიჩნდა.

– მელორი ხარ? – ვკითხე მოჩვენებითი სითამამით.

თავი დამიქნია, თითქოს ამოხედეცა დააპირა, მაგრამ ვერ შეძლო.

– შენ ხომ მოკვდი? – ვთქვი უნებურად და ენაზეც ვიკბინე.

– ისევე გავცოცხლდი. ეს სახლი მაქვს ჩაბარებული. პატრონი ამერიკაში წავიდა.

მინდოდა მეკითხა, როგორ გაცოცხლდა, მაგრამ, რა აზრი ჰქონდა, მაინც არ დავიჯერებდი.

მელორმა ვითომ ძაღლის მოსაფერებლად გაიწვინა ხელი, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ვერ მისწვდებოდა და არც ძალი გაუყადრებდა თავს, შემკრთალი უფრო მჭიდროდ რომ მეკვროდა.

– იცი, ის ძალი როგორ მოკვდა, – კვინტრომა? – მკითხა, თითქოს უკვე ფეხზედმა, იმით კმაყოფილმა, ძაღლის სახელი რომ გაიხსენა, თუმცა, თვალს მაინც ვერ მისწორებდა, ნამდვილად რომ გამერკვია, მელორი იყო თუ მოჩვენება.

– არ ვიცი. ის ხომ ჩემთან, საქმელად მოდიოდა და იშვიათად რჩებოდა.

ნანი გორდეიანი

იქნებ ვახვთ წამშობლო?!

იქნებ, სამშობლო მართლა ვახვია, მზისფერ მტევნებით, ჯალალ ედ დინის ორლესული ხანჯლის სამიზნე. იქნებ, ფრესკა დიდებული ბეთანიიდან, სადაც თამარის შეუსაღარი თვალები გიმზერს...

იქნებ, სამშობლო დაშანთული მკერდია კუპრით და ჯვარცმა არის დედოფალი ქეთევანისა, თუ ზღაპარია საოცარი ვეფხის და მოყმის ან „ლილეოა“ — საქებარი მზის და მთვარისა.

იქნებ, სამშობლო დიდგორია ანდა ასპინძა, სისხლით ნაღები ყაყაჩოების კრწანისის ველი ან მარაბდაა, ცხრა ხმალი რომ მზესთან გაბრწყინდა, ბასიანია, გასაოცარი და უძლეველი!

სამშობლო წმინდა სახარებაა — ზღაპრული განძი ან საოცნებო გატაცებულ სანმისს ედრება, სალოცავების სადიდებელი შესმული თასით ან უფლისაკენ გაფრენილი ლოცვა-ვედრება!

სამშობლო იქნებ, მოელვარე გაზაფხულია, თბილი ქვეყნიდან მოფრენილი მაცნე მერცხალი, ეზოს ჭიშკართან მოთამაშე ცელიქ მურია და ფანჯარასთან ტოტგაშლილი მწვანე კედარი.

იქნებ, თეთნულდის, იალბუზის სიამაყეა ან გაფრენილი ზეცისაკენ ტატოს მერანი, გალაკტიონის უნაპირო სიყვარულია, მერის ჯვრისწერის დასაწერად ტბები მელანის.

ჩვილის აკვანთან ნამღერები იავანანა, „ჩაკრულოს“ ხმებით მოფენილი ნახტომი ირმის, იქნებ, სამშობლო მოქარგული ანა-ბანანა ან უკვდავების საგალობელი — სამშობლოს ჰიმნი.

სამშობლო, ალბათ, წინაპრების საფლავებია, ქართული ჯიმი მებრძოლი და თანაც მცინარი, სამშობლო მხოლოდ დედის რძესთან შესაღარი და ღვთისმშობელთან ერთადერთი დასაფიცარი!

მიხეილ ქობილაშვილი დაიბადა 1991 წლის 25 ოქტომბერს.

დაამთავრა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატი და მაგისტრატურა ქართული ფილოლოგიის განხრით.

მისი ლექსები პერიოდულად იბეჭდებოდა ჟურნალ „განთიადის“, „ჩვენი მწერლობისა“ და „ანეულის“ ფურცლებზე. 2016 წელს ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ გამოსცა მისი ლექსების კრებული „სახელწოდებით „მონოლოგი მამასთან““.

დღეს მას დებიუტი აქვს „ლიტერატურულ საქართველოში“.

მიხეილ ქობილაშვილი

გულს ველარ ვუდებ ვერაფერს, უფალო, გეტყვი სიმათლეს, ვიცი, განაგებ ყველაფერს, სულს ნუ მომიკლებ სინათლეს. ისმინე ჩემი ვედრება, დაჭრილი გულის ძახილი, ბაგეს არ დამცდეს ყვედრება – ცხოვრების გამოძახილი. მშურს სისუფთავე სულისა, ჩემი ძმისა და მოყვასის, ისმინე დაკარგულისა, ცხოვრის გოდება-მოთქმანი. არ ვიტყობ ტკივილს სახეზე, სულზე მატყვია იარა, არაფერს ვამბობ მახეზე, ბედმა რომ გამიზიარა. ომში არ თვლიან ნატყვიარს, ან თუ დათვალეს, ვის ახსოვს, დაჭრილ ჯარისკაცს რა ჰქვია, რა უხარია, რას დარდობს... უფალო, გეტყვი სიმათლეს, სულს ნუ მომიკლებ სინათლეს, ისმინე ჩემი ვედრება, ბაგეს არ დამცდეს ყვედრება.

ალაგებ თავში ფიქრებს, როგორც ჩანთაში ბოთლებს, და ნატრობ: იქნებ, იქნებ... ქარი კი ფოთლებს იქნევს. ირწევა სულში დარდი, როგორც აკვანი ძველი, გარეთ კი ისევ ბარდნის და თოვლიც ველარ გშველის. ნეტავ, ხვალ ვის რა ელის, შენ კეტავ გულის კარებს, ყველა: მგელიც და შველიც, სულ ბოლოს, რჩება კენჭად. რა დაგავინყვებს თვალებს – სანთლებს ალჰყრობილს სვეტად, თავის როლშია გველიც, ცოდვა რომ გეჭულდეს მეტად. ლოცულობ, ხატავ, დარდობ, ვარჯიშობ, სვამ და მღერი, მაინც არ კარგავ იმედს, როგორც ღვთისმშობლის ერი! ალაგებ თავში ფიქრებს, გარეთ კი ისევ ბარდნის, არ გემინია ფრენის და უკვე აღარც ვარდნის.

მასხოვს

მუხიანიდან, თბილისის ზღვამდე ნაგომანები ცხელი საზამთრო, ზღვის პირას ქვები, ლუნი და კენტი, მოკლე ბილიკი გვექონდა სახლამდე! გამოზამთრებას უკვლია ბევრი, მახსოვს, ლურჯმა ცამ როგორ დაგვათრო, ბევრი სხვაც მახსოვს და ცოტა მეტიც, რა საჭიროა სიტყვები მჭევრი... რატომ ვერ ხარობს ყველა თავთავი, ბოღმა და ღვარძლი რატომ ღვივდება?! გიხსენებ, მტკიცა, გული სივდება, სევდით ივსება გზათა დავთარი. წუთი წუთს მისდევს და წლიდან წლამდე,

ერთმანეთს ერწყმის რვა და ცამეტი, ბევრი სხვაც მახსოვს და ცოტა მეტიც... ლოცვით გაცილებ, ძმაო, სახლამდე!

რასწივლის სკოლა



ყაზბეგი – ლურჯი სამოთხე, გერგეტი – თაფლის სანთელი, გულიდან სევდას ამოთხრის, თქვენი თვალების ნათელი. თუ მოიშორე სიშორით, ტკივილი, როგორც სიშორე ამის მეტს რაღას იშოვი, ამის მეტს რაღას ინდომებ! სურნელი თავისუფლების, სულისკვეთება გმირული, სიკეთე თავგანწირული და არწივების ყივილი... მთა, დახუნძლული ფანტელით, ოცნების კორიანტელი, ყაზბეგი – ლურჯი სამოთხე, გერგეტი – თაფლის სანთელი!

ოფელოს

– ღვინო რწმენით ნაფერია, ყველა წვეთი გეფერება. შეიფერე. – გული გადასხვაფერდა, სიხარული დაბერდა...

– ფერდობები სხვა ფერის, ცეტი გადანაფრენი, შეიფარე.

ღამეული ფიქრები ცოცხლდებიან, მოგელიან, ლურჯ წლების დავინყება რა ძნელია, ოფელია!..

გარწმუნებ გამძაფრებით: თუ არ დაიზაფრები, სურნელება შაფრანის მიგაცილებს აფრამდე. სულს მიანდე სხეული, მრავალ ტანჯვით სნეული, და მშობელი ღვთის ხელი ისევ მოგეფერება!

ვაპ... რომ არ გეჯერება, დახვალ სოფლად, ეული...

გტანჯავს: შენი სიშორე, მოზღვავება ვნებათა, წუთისოფლის სიშორე, მარტობის ნებართვა, ჯანლი გაუთეველი, სიტყვა დაუტეველი, მიწა დაუთოველი, გულისცემა ყოველი...

ყველაფერი თავის დროზე მოვა: გა-ზაფხულის ცრემლებიც და თოვაც. რამდენ ნალველს იტევს გული, რამდენს... რა გამო-ლევს ქვეყნად ცოდვის ჩამდენს. ცოცხლობს ცოდვა, სანამ ცოცხლობს კაცი, მხდალი არის იგი თუ მამაცი. მაგრამ მყოფობს მასთან ერ-თად მადლიც, ხან თვალნათლივ, ხანაც დადის ჩადრით; საკუთარ თავს არვის არ ამადლის, განქარვება შეუძლია დარდის. რწმენის გა-რეთ არ არსებობს შეგლა, უიმედოდ იკარგება ყველა. ყველაფერი თავის დროზე მოვა: სი-ხარულის ცრემლებიც და გლოვაც.



ლუკა ლეკიაშვილი

დამსეტყვა სევდამ... ავივსე ფიქრით... ესეც, ძვირფასო, ჩემი სნება! ვნერე ლექსები, ვხატე ფურცლებზე, ეს – ჩემი სულის ხელოვნება!

დავხეტილობ ჩემს ნაწერებში და ვცოცხლობ მხოლოდ ფურცლების ფონზე... ამ სამყაროში მე ვერ მიშველეს, ვერ მომიყვანა ვერაფერს გონზე!

რეკრას

მარტო ვიყავი... ქარში ვიარე, თან მახლდა სევდა. შენი ხმა მესმის... შენი სურნელი დამყვება დედა!

ფიქრები მოდის... და არ ჩერდება... ლექსს გინერ, ვლეღავ. გიყურებ, გიმზერ... გულის ხმა მესმის... მიყვარხარ, დედა!

სიგარეტიც გამითავდა, არაფერი არ მინდა, მხოლოდ ფუჭი ოცნება... შენთან ყოფნა მომიინდა. მარტოსული ჩიხში ვდგავარ, და თან თოვლიც მოვიდა, მარტო ვდგავარ, ვიყინები, არაფერი არ მინდა. სიყვარულის გრძნობა გაქრა და სადღაც შორს წავიდა, მოპარული გრძნობები კი მასთან ერთად გაფრინდა, კვლავ მარტო ვარ და თან ცივა... და რატომღაც გული მტკიცა! ჩიხში ვდგავარ, ერთადერთი, მარტოსული, ობოლი, ალბათ, აღარავინ დარჩა ჩემი ლექსის გამგონი, ალბათ, ისევ მივატოვე მე ჩემს ლექსებს, მგონია, როცა შავ ზღვას გადაუფრენს ცაზე თეთრი თოლია!

მინდა სივრცე!.. მინდა ფრენა!.. ამ სამყაროში ვერ მიშველა... მან გამწირა, როგორც წირავს მიტოვებულს – ქუჩის სცენა! ისევ ვიბრძვი, ისევ ვითხოვ – მომეც სივრცე, მინდა შეგლა... აქ მომაკვდავს ვინ მიშველის, მარტოდ მინდა, ოღონდ შენთან!

ლამის ქუჩა, ლამპიონიც... ჩიხში ვდგავარ... სად წავიდე, აღარ ვიცი, აქ რა მინდა?! მინდა სივრცე, რომ გავიქციე. ფრთებიც არ მაქვს, რომ გავფრინდე, ოცნება მაქვს, ოღონდ მართლა, იმედები ადრე მქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ გაქრა.

მერამდენე თვეა, მერამდენე წელი, განცდით საცხე ემოციას და სიხარულს ველი. მერამდენე გულის ტკენა... გაცრეცილი ფერი... ვისთვის ცოტა დრო გავიდა, ჩემთვის მაინც ბევრი.

მერამდენე გალიმება, მერამდენე სითბო, ცრემლის მოსვლას, მონატრებას და სიყვარულს ვითხოვ!

მერამდენე მარტობა, მერამდენე ლანდი... მერამდენე უძილობა, მერამდენე დარდი.

მერამდენე გულის ტკენა, მაგრამ მაინც ვიბრძვი, ყველაფერი ამაოა, ეს ხომ მაინც ვიცი.

სალომე სანდროშვილი

რასწივლის სკოლა

მე ვუმკლავდები ამ სიწუმეს, დანას მუცელში, მაგრამ არ ვამბობ და არ ვკვივ, როგორც წესია. ყველას ჰგონია, უდარდელად გადაგიტანე, რადგან მე მათთან ერთხელაც არ დამიკენესია. და რა იციან...

ჩვენ ორს შორის შენ მოგხვდა მხოლოდ ჩემი ცრემლების მწარე მუავა, კანი დაგინვა, მე კი, არ გავთქვამ ბოლო სიტყვებს, რაც პირში შემეჩა, შენ დაგკარგე და სიამაყის არ ღირს გარისკვა. რა უცნაურად ლამაზია ამ გრძნობის ქრობა, შენი სახელი, წარსულში რომ ჩემად ვიტარე, ახლა ვივინყვებ, რადგან აზრი აღარ ჰქონია მარადისობას... შენ ხომ მაინც ვერ ამიტანე.

არ გაუჟიკდებ არც სიგარეტს ჩემი ძახილით, სახე არ იმწნევს, გული კიდევ დამალულია, შენ რომ ნახვედი, ველარაფერს ვიძახდი სუსხით აღვსილი მხოლოდ დავიკვივლე – ალილუია...

ისე ჩუმად, რომ მეზობლებმაც კი ვერ გაიგეს, ისე ჩუმად, რომ არც ამბის მთქმელს გაუსკდა ძარღვი, აღარ უნდაო შენთან ყოფნა, სხვას დააბარე, მე გავიცინე-არ უნდა და მაგისი კარგიც...

მალე გამივლის. ის ფოთოლიც მალე ჩახხმება და ყველაფერი დალაგდება ბოლოში როცა, თამამად ვიტყვით, რომ დაცუერთ მკვდრების მდინარე და რაც კი იყო ჩვენ ორს შორის, ნამდვილად მორჩა.

და გაიცინებს ერთი-ორი შიკრიკი ჩუმად, და შეამონმებს, რატომ მჯერა ასე ძალიან

...რადგან ვიცი, რომ ხვალ მეტროთი ვიმგზავრებთ ერთად და ისე მოხდა, რომ საერთოდ არ მიხარია...

დამარწმუნე, რომ ისევ გიყვარვარ, თორემ გავგვიფდები. ვიქნები ქარში და ვიქნები ყინვაში, ოღონდ შენი მჯეროდეს. დამარწმუნე, რომ გიყვარდი მაინც, ღირსება შემინახე,

მითხარი, გამიმეორე, გამიმეორე, გამიმეორე... დამარწმუნე, რომ არ გაცივდა შენი სიყვარული, არ გასიძულვილდა, დამარწმუნე, რომ შეზიზღება მხოლოდ ნილაბია, გეხვეწები, დამარწმუნე, რომ თუ ოდესმე ზეცა ჩამოწვება სამოთხეში მაინც შევრიგდებით.

თავზე დამანვიმდა. ქუჩაში ვიდექი, ბოლოს როცა გნახე გალუმპული, კბილები მტკიოდა, ძვლები მტკიოდა, მტკიოდა ძარღვები, რადგან მე დავიჯერე, რომ შენ მილალატი, ხმა ამოიღე!

არაფერს არ ყვები... დამარწმუნე, რომ ისევ გიყვარვარ, თორემ გავგვიფდები. ვიქნები ქარში და ვიქნები ყინვაში, ოღონდ შენი მჯეროდეს. დამარწმუნე, რომ გიყვარდი მაინც,, ღირსება შემინახე, მითხარი, გამიმეორე, გამიმეორე, გამიმეორე...



დაკარგული გზის, ღროისა და ხეების ქიხა

ვიქრები სოსო მემველიანის ნიშნად „მწერი ქაჩვამი“

სვანეთის ციკლის ლექსებში არსად ჩანს ესპანეთი, ესპანეთის რეალის ლექსებში კი სარჩულივით ყველგან სვანეთია:

„უცხე უბრალო ფიქრის ნაპერწკალს, მოგონებები აქცევენ ნაღმად – რომ ცხადად ვიგრძნო ჩემი ბავშვობა როგორ მიჰყვება ჩირგვიან აღმართს“.

(„მელიის ტყავი ბილბაოს ტავერნაში“) სვანეთი პოეტის გულისა და გონების თვალთა, ყურთა, პირველსანწყისა, აქედან მოდის: სიტყვები, ხმები, ფერები, სუნი, შეგრძნებები, დეტალები... და იქვეა პოეტური ხატებად, უჩვეულოდ, ორიგინალურად, თვითმყოფად და თვითკმარად. აქ სხვისი ინტონაცია, სხვისი ხმა არ ისმის, არც ფერებია სხვისი... ძალი რომ ყვფს, ისიც მისი ძალის ყვფაა, ხავსიც მისია, ხარებიც, ლოკოკინაც, გვიმრებიც, შამბნარიც, ბორჯოც და კვაზარის შუქიც კი... სვანეთი წყლის წვეთია, რომელშიც ოკეანე ილანდება.

ჭირს დღეს ქართულ პოეზიაში ორიგინალური ხმის პოეტი. განა ცოტა კარგი ლექსი, მაგრამ იმ ლექსებშიც ხშირად უკვე ნაცნობი ინტონაციები, პოეტური სახეები, ნაცნობი სტრუქტურა გვხვდება; იქნებ ხშირად გონებიდან არაცნობიერად ამოტივტივებული, მაგრამ მაინც სხვისი, უკვე ნათქვამი, დანერლი.

სოსო მემველიანის პოეზია ბევრი რამითაა გამორჩეული. აქ ყველაფერს მისი ტვიფარი აზრის, ყველა სათქმელი მის შინაგან სამყაროშია მოხარული. რაც მოგონს მის ლექსებში, ყველაფერი მხოლოდ მისია და თუ რამე არ მოგონს, ისიც მისი არის.

მე მომონს მისი პოეზია, რადგანაც ის კი არაა, რაზედაც მიფიქრია, პირიქით, ისაა, რაზედაც არ მიფიქრია, არ გადამიძანია, არ განმიცდია, მაგრამ თურმე ჩემია და რომ არა პოეტი, ეს სამყარო უბრალოდ გვერდზე ჩამოვლიდა და იმ პირველყოფილი ხმების, ფერებისა და სუნის შეგრძნების გარეშე დამტოვებდა, რომელიც პოეტს უნდა დაენახა, აღეწერა, ხოლო მე წამეკითხა და მიგმვდარიყავი, რომ ჩემიც ყოფილა.

ასეა, ვიღაცას ჰგონია, რომ თავისი სულის ისტორიას წერს და რეალურად კი სხვის ამბავსაც ჰყვება, რომელიც შესაძლოა იმ სხვამ მანამდე არც კი იცოდა.

ამიტომ გვიყვარს ლიტერატურა, რადგან მასში ჩვენს უცნობ ცხოვრებას ვპოულობთ. სოსო მემველიანის პოეზია რეალურისა და ირეალურის სინთეზია – უფრო სწორად, ხან მისი რეალური ადამიანები დაბრუნდებიან ირეალურ სამყაროში და წარსულისა თუ მომავლის, ცხადისა თუ სიზმრის ინტონაციები მოაქვთ; ხან პირიქითაც ხდება – ლანდები და აჩრდილები რეალურ გარემოში დადიან და ლამის ხელითაც გეხებებიან.

ვერც კი ხვდები, სად გადის საზღვარი ამ ორ სამყაროს შორის ან გადის კი საზღვარი საერთოდ? თუ ერთ სამყაროში მამის აჩრდილია, მეორე სამყაროში დედაა, რომელიც არასოდეს კარგავს კავშირს იმ პირველ, იდუმალ სამყაროსთან, პოეტი კი, ამ ორი სამყაროს საზღვარზე მდგარი, ისაა:

„დაუძაბავ ვინც მიწოდ ხავსივით მცოცავ დროს და ვინც ლამე ხშირ შამბნარში დაკარგულ ბილიკს,

დაკარგულ დროს თუ დაკარგულ ხმებს დაეძებს ახლა...“

(„ალპური უცანა, ანუ მეთოვლია“) ამ მარადიული ძიების გზაზე დამდგარი კაცის ტვირთი არასდროს, არცერთ დროში არაა იოლი, რადგან გამორჩეული გემითა და გუმანით უნდა იპოვოს დრო-ჟამისაგან ნაშლილი საკუთარი ბილიკი და ამ ბილიკზე მავალმა იმყოფინოს მწირი სარჩო:

„და ახლა ასე ნება-ნება წვალვით დახრავს, გამხმარი პურის ძველ აბჯამი ჩარჩენილ ლუკებს“.

(„ალპური უცანა, ანუ მეთოვლია“) ეს მამის გზაა – ხარებით, ქისაში მარლით, დამტკნარი იელებით, საყვარელი პოეტის თეთრი ყვავილითა და ერთდროულად უხეში და რბილი მუსიკით. ამ გზაზე დროდადრო გაივლებს მამის სული, ლურჯი პეპელა: **„სველ სიმინდებში მელანდება მამის თითები, ნისლში ყანას რომ ბუნდოვანი სიმწვანე დაჰკრავს,**

ლურჯი პეპელა ამოფრინდა კვანის ყვითელი ყვავილის ვინრო ყელიდან და უმალვე გაქრა“.

(„უხმოდა“) დედის გზა სხვაა. ის თოვლიან ბილიკს მოჰყვება, ქათმების ნაფეხურებით დახაზულს. ეს გზა ერთდროულად თოვლისა და ნაკელის, ცის სილურჯისა და ბოსლის სუნის პოეზიად ქცევის გზაა, რთული და სარისკო, რადგან ზოგჯერ იმით ფაქიზ ყნოსვასაც კი აღიზიანებს, ვინც მშვენივრად იცის, რომ: „ვარდა და ნეხეთა ვინათგან მზე სწორად მოეცივნების...“

– **„შეხე, მისარობაც გამოძრა“**, – იტყვის ამ გზით მოსული დედა. თუმც მისი ლოცვა, ყოველდღიურ რუტინაში ჩაკარგული, მაინც აღწევს ღმერთამდე. ამ გზიდან მოსულმა დედამ იცის შეიღობი სიზმარში ისეთი ნამდვილი სიზმრის მოყოლა, რომელსაც: **„წყალს ვერ გაატან, ისეთია – არც ცეცხლზე იწვის...“** („უხმოდა“).

შვილის გზა უფრო გრძელია გზაა, მშობლიური გარემოდან უცნობ ადგილებში მოხეტიალე. თუმცა სადაც არ უნდა იაროს შვილმა, დაკარგულ ბილიკს მაინც იქ უნდა მიავსოს, სადაც ბოლო აღმართია და სადაც წვრილმანებზე რეაგირება აღარც კი ღირს:

„იტყვი: „უკვლავ აქ ვარ!“ ეს რამხელა ამბავი მოხდა, გეხვევთ თავებრუ, გახარებულს ამ „დიდი“ ამბით...“

(„ბოლო აღმართი“) სად არის ბოლო აღმართი, არავინ იცის, ისევე, როგორც არავინ იცის, როგორ მოიხელთოს დაკარგული დრო, რომელიც: **„აქავავებს სულს და ქარაგოზით არბილებს ლოდებს“** („სიჩუმი. ჟამი. ამაღლება“).

ის, რაც შეუძლია აჩრდილს, რომელიც ჯვარს გარდასახავს ნასახლარებს, **„და ვარსკვლავებით გამოთივლის დროს ამაღლებს“**, არ შეუძლია ადამიანს. პოეტიც კი ვერასდროს გადასწევს დროს ვერც წინ, ვერც – უკან. ის, როგორც მწერი ქაჩვამი, ამ დროშია გამომწყვდეული და აქ ქვავდება მისი უხმო სასონარკვეთა.

სულ სხვა ამბავია დაკარგული ხმების ძიება. ზოგადად, ხმები, ინტონაციები, მუსიკა მუდმივად ისმის სოსო მემველიანის ლექსებში. ეს ხმები ქმნის განწყობას. შენ კი, მკითხველი **„...ამ დანმენდილ ველურ ხმებსაც, ვით საგალობელს, მიაყურადებ“** („ბოლო აღმართი“).

დაკარგული ხმების მოძიება უფრო ადვილია, ვიდრე დაკარგული დროისა. თუ ეს ხმები ერთ მქუხარე სიმფონიად არ გუგუნებს, სამაგიეროდ, მისი ფრაგმენტების ექო მუდმივად ისმის სოსო მემველიანის ლექსებში. ეს ხან ძაღლის ყვფაა, ხან ყრუ ქეთონი, ხან საბრალო ბიჭი უსტევენს შენდელს და მოცარტს, ხან წვიმის ხმაურია, ხან მუსორგსკის კუდიანების არია, ხან შამპის გალობა, ხან ტრატს მონყვეტილი ნაყოფის ყვარზე დაცემის ხმა, ხან:

„შორიდან რაღაც ხმები აღწევს, ჩემამდეც მოდის, მოჰგავს ქარაფის ორნოსებში მომწყვდეულ ხროტინს“.

(„გაურკვეველობა“) კარგა ხანია მაშინებს სქელი პოეტური კრებულები. ჩემი დაკვირვებით, მათში კარგი ლექსები გაცილებით ცოტაა. მიყვარს თხელი ნიგნების დაგემოვნებით კითხვა, მით უფრო, თუ სპეციალურად არაფერი მაქვს შესარჩევი. ამ დროს თავისით აგვიკდება ხოლმე რომელიმე ლექსი ან სტრიქონი და შენთან ერთად იბოდილებს კარგა ხანს. არავითარი ლოგიკა ამ აკვირებებში არ არის, რადგან ემოციებს არაფერში სჭირდება ლოგიკა.

ასეთი ასაკვიატბელი სტრიქონები კი ბევრია ამ წიგნში: „...დახს ეს ჟამი, აქვავებს სულს და ქარაგოზით არბილებს ლოდებს“, „აჩრდილი უსტევენს ცარიელ მერმისს“, „რასაც ეს კბილებდაცვენილი მწყემსი მიყვება

ფიჭვის სურნელით შესქელებულ ჰაერის ლეჭვით“, „და გადასერავს მგლის ყმეილი მდუმარე სოფლის/ სივრცეს, მთვარეს რომ გააღიღებს მყინვარის სარკე“, „დალილ, გამომშრალ თვალის გუგებს ნითლად დასერავს/ წვრილ ტოტებიდან გამომსკდარი ყვაილი ვაშლის“, „და აი, ახლა, როგორ მინდა იმის ყურება./ იალქნიანი ხომალდებით ამ ბნელ ყურედან/ როგორ გადიან ღია ზღვაში და შემდეგ ნისლის/ სიღრმიდან თითქოს მათი ხმა და ყიფინა ისმის“, „ბნელ ფულურში იყურები, თითქოს ფულური/ ძახილს გამოსცემს წინაპართა. მიყვები ძახილს./ აზრად არ მოგდის სიზმრის კარი გამოიხურო...“, „რა შეიცვლება, მარტოობის ნაჭუჭს თუ გახრავ...“, „ამ უსიცოცხლო სიმღერისგან ჩაიქცა ყელი./ მიტოვებული სახლის ბუხრის საკვამურივით“, „მაინც მლაშეა ეს მუსიკა და უმოცარტო“, „ფიქრო, ამ ღამის სიმავეში ისე მიმიდები./ მგონია, მამის სამარესთან მიწას ჩატეხავ“, „შორ სათიბებში/ მამაჩემი ეძებს საქონელს./ ბინდზე ტყის შრიალს აყურადებს./ გზადაგზა უსმენს/ ჭრიჭინობელას, შუალამის მესასაფონეს“, „სჭირდება თურმე უღრანივით ფიქრს გამოხმირვა...“

ამ და კიდევ ბევრი კარგი ლექსისა თუ სტრიქონის მიუხედავად, მე მაინც განსაკუთრებით გამოვარჩევი „ჩემს“ ორ ლექსს სოსო მემველიანის ბოლო კრებულიდან. ესენია: „მამბერი“ და „ზირიაბი“.

„მამბერი“ დაუნერელი რომანის მოკლე რეზიუმეა. რასაც გინდა, იმას რომ წარმოიდგენ... ამ ლექსში განსაკუთრებით ხასიათების გადმოცემის (მისი გაოცება – უცებ მოვარდნილი ქარი./ მისი სევდანარევი სიხარული – ხმელი ფოთლების შრიალი“), ურთიერთობის „სიფაქიზისა“ და სიტუაციის „დაჭერის“ ოსტატობა მხიბლავს:

„რამდენი რამ გვაქვს გასარკვევი, ჩვენ კი ვსხედვართ და მეგრძობ ძალებზე ვსაუბრობთ,

ხანაც ნადირობის ამბებს ვყვებით, რა დიდი მიხვედრა უნდა, ერთი მარტივი შეკითხვაც კი ირმის ნახტომით დაგვაშორებს ერთმანეთს“.

„ზირიაბიც“ მოკლე რეზიუმეა, თუმცა უკვე მოყოლილი ისტორიისა. თუ „მამბერში“ ავტორი არც კი ეხება მთავარ ამბავს, როგორც მყიფე ჭურჭელს, რომელიც არა თუ ხელის შეხებით, სულის შეტერვითაც კი შეიძლება ჩამოიშხერეს, ზირიაბი საოცრად შთამბეჭდავი პოეტური სახეებით თვითონ გვიკვლავს გზას საკუთარ სამყაროში:

„მდინარის პირას ბატები რომ შეწვევტენ ყაყანს და სალაზოხანს ბაყაყები მორთავენ ყიყინს, წყლის ზედაპირზე ხელით ჩემი აჩრდილი დამყავს, მოულოდნელად, ქვასავით რომ მიმიდება რიყის, და ასისინებს ქარი გამხმარ ბალახის ღერებს, ყველაფერს უღლებს გული ჩემი, ყველაფერს იტანს, სრიალა ქვეზე ქაფიანი პატარა ღელე მიიკლანება, მირაკრავს, მირაზებს გრილ ტანს, თუ რამე იყო მოსახდენი, ჩემს თავზე მოხდა, ვუახლოვდები ბოლო წერტილს და ვიტანჯები, ჭაობის მალე ბალახებში, მეთევზის ქობიან, ქართი დაბრუნლ ბუდეებზე წუხან ყანჩები.“


საინტერესოა ამ ლექსის სტრუქტურაც – არაკონვენციური ლექსით იწყება პერსონაჟის წარდგენა, კონვენციურაა ზირიაბის მონოლოგი, რომელიც შემდეგ ისევ არაკონვენციური ფინალით სრულდება. საერთოდ, სოსო მემველიანის ლექსების ფორმა ცალკე საუბრის თემაა, თუმცა განსაკუთრებული დაკვირება არაა საჭირო იმის შესამჩნევად, თუ რამდენად ორგანული კავშირია ფორმასა და შინაარსს შორის, როგორ კარნახობს სათქმელი ლექსის ფორმას. ამის ერთ-ერთი მკაფიო ნიმუშია „ნეკურჩხლის ტყე“. ვერლიბრის ფორმით დაწერილი ლექსის დასაწყისი, რომელიც **„დიდი ქალაქის ხმაურიანი ქუჩებიდან მოსული, დალილი და გამოფიტული“** კაცის ისტორიას გვაცნობს, ისევე ბუნებრივად და შეუმჩნევლად გადადის რითიან ლექსში, როგორც კაცი – ბავშვობის მოგონებებში. ეს ორი სალექსო ფორმა, როგორც ორი განსხვავებული მუსიკა, რომელიც მკაცრ აწმყოსა და წარსულის იდილიას აკავშირებს, თითქოს ბუნებრივად მოითხოვს განსხვავებულ რიტმს, ინტონაციას, უფერადობას.

რამდენჯერ ყოფილა ასე – კითხულობ ლექსს, თითქოს ყველაფერი თავის ადგილზეა, მაგრამ გრძნობ, რომ რაღაც აკლია – პოეზია არ არის. სოსო მემველიანს აქვს ის „რაღაც“, რაც მის სათქმელს პოეზიად აქცევს. და რადგან აკვიატებული სტრიქონის ულოგიკობაზე უკვე ვთქვი, ბარემ ამასაც დავამატებ – ჩემი ბოლოდროინდელი აკვიატებული სტრიქონი ესაა: **„თიბათვის მზეო, შენ გჭირს რამე, თუ მე ვარ ავად!“**

ნაირა ცხველიანი

იპირული თურქოპოტი

ჩვენო ძვირფასო საძებარო მკითხველო, ალბათ, გახსოვთ ცხონებული ოტია იოსელიანის შეგონება: ჩვენ, პატარა კი არა, მცირერიცხოვანი ერი ვართ, მაგრამ ისიც ხომ ვიცით, ნიაღვისეულში რკინაა ბევრი, თვარა, ოქრო მცირედააო!..



ასე სახელდახელოდ გეთავაზობდა მარტივ მეტაფორას: მრავალრიცხოვანი ერები, ვთქვათ, ფინიკილები, ებრაელები, სხვანი იმიტომ გადაშენდნენ, რომ რკინა ადვილად ჟანგებოდა, კოროზია ჭამს, ხოლო ოქროს ჟანგი საერთოდ არ ეკარებაო!.. ოტია რისი ოტია იქნებოდა, იქვე, იუმორზე არ ნაცდენოდა სიტყვა: სად არიენ ის მრავალრიცხოვანი შუმერები, ერთი ზურა ქაფიანიძე რომ შემორჩენილა ნიმუშადო!..

ნათელში ამყოფოს მამაზეციერმა, მაგრამ ისეთ თემას მოვეჭიდე, ჩემზეც შეეძლო ეთქვა: სა არიენ ის შანიძეები, ჩიქობავები, თოფურები და სხვები, ერთი გიზოიე ზარნაძე რომ დაგვეგომია ქადაგადო!..

ჰიპოთეზად ნუ ჩამითვლით ჩემს ვარაუდს, მაგრამ ხალხური მეტყველების უკიდევანო ოკეანეში ერთ ისეთ რეალობას ჩაუფიქრებიათ, რის თაობაზეც ებედავ საუბარს და კი ვთქვი დასაწყისში – ვარაუდს კაცი არ მოუკლავს-მეთქი.

ერთი სიტყვით, მართლა რომ არავინ ნაიქილიკოს, რას გვეგლახაჭრიაშვილებო! – შევეშვები ნიაღვლეებს და მოკლედ მოვჭრი: კაი ხანია, დაკვირვებას ვარ – მშობლიურ იმერეთში, სადაც ვმობილვარ ამ 88 წლის წინათ (ასე რომ, მისაღებიც და მოუღებელიც ჩემს ასაკს დააბრალოთ), საკმაოდ ფესვგადგმული მეტყველებაში ზმნების უცნაური, მოდიფიცირებული უღლითობა, – თითქოს მიმღეობა, თითქოს – თურმეობითი.

მაგალითები: „– კი მარა, ისიდორეს ძროხა რატო არ გიყიდიათ, 11 ლიტრს ნანველება დღეში?! – მივირად დოუფასებია, შე ქალო, 5000 ლარი! ღმერთი აღარაა?! თონხანევენს ქე ნაძლევერა ჩემი კაცი, მარა არ უქნია ისიდორეს.“

ჰოდა ვსვამ კითხვას: გრამატიკული კატეგორიების მიხედვით, რა არის „ნანველება“ და, „ნაძლევერა“? და, რაც მთავარია, არის თუ არა ეს სიტყვები გასაგები ნებისმიერ რეგიონში მცხოვრები ქართველისათვის?!

ან, კიდევ: „გოუთავისუფლებითა ლიდა მასწავლებელი სამსახურიდან. ვერ ნასწავლება ხეირიანად. ისე, ცოდვა რად მინდა და, მაინდამაინც, არც ჩვენი ბოვეზი ნასწავლა ბევჯითადა.“

ჰოდა ისევ და ისევ: რა არის „ნასწავლება“ და „ნასწავლა.“

შემოგთავაზებთ ცხოვრებაში არაერთგზის მონასმენი ფრაზები და რაღაცნაირი, უხერხულობის გრძნობა დამეუფლა, რომ, უპირველესად არ მომადგენაზე „ცოცხლადმობილი“ (ზოგს რომ „მკვდრად-მობილი“ ჰგონია!) გენიალური პოეტის ლადო ასათიანის ფუნაგორია-შეხუმრება დაუფინყარ ნიკა აგიაშვილზე: „აგიაშვილსა ნიკასო, არ ნაყვარება პიკასო! გადარეულა პიკასო, რა დოვუშავე ნიკასო?!“

გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ: ხომ ყველა-სათვის გასაგებია სიტყვა „ნაყვარება“!

გასაგებია, ლიტერატურული ფორმაა „ნაყვარება“ თუ უფრო ზუსტად, უფრო მკაფიოდ, მსუბუქი ირონიითა და, ამდენად, მეტი იუმორით გამომხატავს ავტორის დამოკიდებულებას

კარგად ვიცი, ღირსების მქონე ადამიანი რომ იაფფასიან სენსაციებს უნდა ერიდოს და ამას არც ვაპირებ; თანაც, შესაძლოა, ეს საკითხი ენათმეცნიერთათვის სულაც არ იყოს, „ახალი ამერიკა!“ მაგრამ, რადგან თქვენი მონა-მორჩილი არ გახლავთ პროფესიონალი ლინგვისტი, დილექტანტურ დონეზე ვკითხულობ: რა ენოდება ხალხურ მეტყველებაში ხშირად ხმარებულ ასეთ სიტყვებს, მიმღეობა? თურმეობითია? თუ რა? და ერთიც: რაგინდ ორჭოფულადაც უნდა მოგეჩვენოთ დასმული კითხვა, პასუხიც ორჭოფული არანაირად არ ეგებოს!

გიზო ზარნაძე

P.S. მახსოვს, ჩემი უფროსი დაიკო მთელი საღამო მეჩირიწებოდა: ხვალ ორიანს გეგრტყავს ნადია მასწავლებელი, გაკვეთილი არ იცით! სინამდვილეში, ხუთიანი დავიმსახურე და, როცა თალიკოს „ვახარე“, წავეშავე: რაო, არ მნაცოდნარა?!

შვიდ ათეულზე მეტი წლის წინანდელი ამბავია, მარა, გუშინდელივით მახსოვს, არ შეუცხადებია „მნაცოდნარა“.

გათოვის, ვისაც ეს რომანი ჯერ არ ნაუკითხავს ...

ნიმო ჩიკიძის მიხედვით

„თითქოს გადავიდა დრო დიტანის რომანებისა, რაკილა მოარული მტკიცებით, თანამედროვე მკითხველს იმთავითვე ზაფრავს ორტომიანი ეპიკური ქმნილების შეხედვა და სასწრაფოდ გაერიდება. მაგრამ ეს მოარული თვალსაზრისი სწორი გემოვნებიდან უფრო ამოზრდილი, ვიდრე რეალობიდან.“

ნამდვილი მკითხველი – ჩვენი დროისა – არასოდეს გაერიდება დიტანის ქმნილებას და ცნობისნადილთაგან შეუდგება კითხვას, მოხიბლული მწერლის გაბედულებით:

მცირეწიანი რომანების პოპულარობის ხანაში ხელი მოჰკიდოს ვრცელ თხრობას.
ცხადია გაბედულებას მხარს უნდა უმაგრებდეს თხრობის ხელოვნება, სტილური დახვეწილობა, ხასიათების გამოკვეთის უნარი, კომპოზიციის აგების ოსტატობა, ის თვისებანი, რაც ასერიგად მამაღლებია ჯანო ჯიქიძეს, რომელიც პროზის ყველა ნაირსახეობაში მიაღწევდა წარმატებას, ერთნაირი ხელოვნებით რომ წარმოაჩენდა თავის ტალანტს როგორც მცირე, ისე ვრცელ ფანრებში:

...და აი ორტომიანი ეპიკური თხზულება უნდა შექმნას „ჯადოსნური თმის“ სახით.

ამ სათაურის გაგონებისას ძალდაუტანებლად მოგაგონდებათ თომას მანის „ჯადოსნური თმა“.

ისიც ორტომიანი.

იქაც მოქმედება ხდება მთაში მიკარგულ სამკურნალო სანატორიუმში.

იქაც სანატორიუმი კაცობრიობის მცირე მოდელია.

და მთელი მსგავსება აქ ამოიწურება.

ჯანო ჯიქიძის მხატვრული სამყარო სრულიად დამოუკიდებელია, პერსონაჟები ქართული სინამდვილიდან არიან ამოზრდილი და არსებითად განასახიერებენ ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფის ყველა შრესა და ფენას.


და ხელსაყრელ მასალად ამიტომაც წარმოადგება „ჯადოსნური თმა“ ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების კრიტიკულ-ესთეტიკურ გარემოში.

თხრობა რეალისტურია, თუმცა საგრძნობა გროტესკიც, სარკაზმიც, ირონია, სატირა, იუმორის ყველა ეს ნარსახეობა, და საკუთრივ იუმორიც, რაც ძალიან აცოცხლებს თხრობას და ვეფხვეს რომანს გაუნელელებელი ინტენსივობის ნაკვთებს.

მით უმეტეს სტილური ფორმული ვერკეც ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს და შესაფერის განზოგადებას ანიჭებს თუნდ ლეთარგიულ ძილს, გადაჯაჭვულს ჯადოსნური თმის სიმბოლიკასთან, კომპოზიციური ლერიც რომ ეს არის და განსაზღ-

ვრელიც რომანის მხატვრულ-იდეური მრწამსისა.

ეს ვრცელი შესავალი, ამონარიდი ნიგნის რედაქტორის – როსტომ



ჩიქიძის ფეისბუქის პოსტიდან (ამა წლის 19 ივნისით დათარიღებული), სადაც ასე მიმინერია:

„ამ ნიგნის ნაკითხვის ბედნიერება მომეღებს“;

მიყვარს ჯანო ჯიქიძის პროზა. (არ მიყვარს თავს მოხვეული მწერლები, მონდომებით რომ გვაჩეჩებენ საკუთარ ნიგნებს სხვადასხვა კონკურსის მეშვეობით).

ზოგადად ასეა, როცა კარგი მწერლის ნიგნს გადაფურცლავ, თხრობის მდინარეებს ისე შეჰყვები, ვერც იგებ, როგორ გადის დრო, ასე გაილია ჩემი ნღევანდელი ზაფხულიც!

რომანი დიტანისა და რომ გითხრათ, ერთი ამოსუნთქვით ნაკვირვებ-მეთქი, ხომ არ დამიჯერებთ?

ვრცელი ტექსტია. რთული ნაწარმოებია.

უამრავი პერსონაჟით, ისეთივეა, როგორცაა ცხოვრება;

რომანი ეკლექტიურია, ჟანრის განსაზღვრა გამიჭირდება: არც ფანტასტიკაა, არც დეტექტივი, მაგრამ ამ ორი ჟანრისთვის „დამახასიათებელი ნიშნები“ სახეზეა, ამდენად, ორიგინალურიცაა და საინტერესოც.


პოსტმოდერნისტულია!

მოგესხენებათ, პოსტმოდერნისტული ნაწარმოები სხვადასხვა ჟანრს, ეკლექტიურ თხრობას, ორგანულად მიიჩნევს და რაკი დღეს პოსტმოდერნისტულ ეპოქაში ვცხოვრობთ, ამდენად, ცხოვრებაც ისეა დაშლილ-დანაწევრებული, „კლასიკურად აწყობა“ ხშირად გვიჭირს, ასეა მწერლობაშიც (ზოგადად, ხელოვნებაში)!

როგორც მკითხველი (ძველმოდური ვარ), ყოველთვის უპირატესობას ვანიჭებ კლასიკას, თუმცა ესეცაა: კლასიკის „თავიდან (ახლებურად) ნაკითხვა“, როგორც ირკვევა, აუცილებელი პირობაა;

ამ შემთხვევაშიც ასეა!

ჯანო ჯიქიძის რომანს „ჯადოსნური თმა“ ეწოდება და... რა გასაკვირია, თომას მანის „ჯადოსნური თმა“ რომ მოგაგონდეს.



უნებურად იმზირები დიდი ბელეტრისტიკოსად.

ჯანო ჯიქიძეც თითქოს თომას მანის გაღვლენით იწყებს თხრობას; გახსოვთ, როგორ იწყება თომას მანის რომანი? დაახლოებით ამგვარივე ალუზია სურს ავტორს რომ შექმნას და აღწევს კიდევ.

ორივე რომანის მთავარი პერსონაჟი თომას მანთან – ჰანს კასტორში, ხოლო ქართველ ავტორთან – მწერალი – კაკი პერევისელი – მაღლა, ზევით, სადაც, დაკიდებული გზით მიემგზავრება 1400 მეტრის სიმაღლეზე, სადაც მხოლოდ მედიკოსები და ცდისპირები ცხოვრობენ.

ჩამოსვლა – ასე არქმევს გერმანელი მწერალი რომანის პირველ თავს.

აქ, ქართველი კი – მირკანის – (მარტის) თვის ჩანაწერებით იწყებს თხრობას და ასრულებს ნავარდობისთვის ჩანაწერებით – ანუ მოქმედება მიმდინარეობს მარტიდან-მასამდე. და ამ დროში ჩატეულია ლამის მთელი ჩვენი ერის ისტორია, უახლესი წარსულის დღეები და საუკუნის წინანდელი, უფროც შორეული და ამავე დროს, ასე ახლობელი წარსული.

წარსული, რომელიც, როგორც საჩვენებელი, ღია გაკვეთილი, ისე ნამდვილად ვერ მიგვიღია და ვერც ვერანაირი რაციონალური დასკვნა გამოგვიტანია, მაგრამ... მაინც ასე ძალიან გვიინდა წარსულში დაბრუნება, რადგან გვგონია, რომ იქ, მაშინ, იმ დროს, უფრო მეტად და მეტად, ბედნიერები ვიყავით;

იქ, თომას მანის რომანში თუ ექიმი პაციენტების სულის დანაწევრებაზე მუშაობს, აქ, ჩვენებური ექიმი – ფსიქიატრი – პროკოფი ლიჩელი, მთელი თავისი სამედიცინო პერსონალით ზრუნავს იმაზე, რომ დაგვებრუნოს ჩვენთვის ბედნიერ დროში, ან სუბიექტურ დროში, როცა ბედნიერები ვიყავით, ან იქნებ, ობიექტურად, არც ვიყავით

ბედნიერები, მაგრამ... რატომღაც, ყოველთვის „იმ“, „ძველ დროში“ დაბრუნება გვენატრება.

ჯანო ჯიქიძის მრავალშრიანი რომანში, პირველი შრე სწორედ ასეთია, ზედაპირზე დევს – დაბრუნება ჩვენთვის ყველაზე ბედნიერ დროში, რომელიც ჩვენი ცხოვრების თანამედროვე და... მოსვენებას არ გვაძლევს.

რომანში თანამედვეი დრო, რა თქმა უნდა, პირობითია და ამდენად, მოქმედი პერსონაჟები დროსა და სივრცეში ისე ორგანულად მიდი-მოდიან, ხანდახან, ეს ყველაფერი რეალობადაც იქცევა და უკანასკნელი 30 წლის ამბები მათთან ერთად გვაგონდება, როგორც თანამედვეი წარსული;

კითხვისას, სულო ცოდვილო და... გულისგულში ნატრობ, შენც აღმოჩნდე ბატონი პროფესორის პაციენტი. ცდის პირად მიგიღონ!

მწერალს თხრობა ისე აქვს ან-ყობილი, ხშირად გგონია, ნაწარმოების მთავარ სათქმელს ჩასწვდი, შემდეგ გვერდზე „გადადიხარ“ და ხვდები – არაფერიც, თურმე შეცდი!

ყველაფერი სხვაგვარადაა და სურვილი (შენზეც გამოცადონ ჯადოსნური პრეპარატი) ალბათ, იმისი ბრალიცაა, რომ (რომანი ხომ ამისთვისაა დაწერილი) მკითხველს შეუქმნას ილუზია, არც მეტი, არც ნაკლები, რომანის ერთ-ერთი პერსონაჟთაგანია და ავტორი ნიგნის პერსონაჟების დარად, შენზეც, როგორც მკითხველზე, „ატარებს ცდას“, გაკვირდება თუ როგორ მოექცევი ამ დროს!

რომელ დროს? შენს სუბიექტურ დროს. (დროს, როცა ამ რომანს კითხულობ)!

და მაინც ვინაა ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, მწერალი, თუ ის, ვინც ყველა სიტყვას უკუღმა წარმოთქვამს (უცნაურადაც იქცევა) და შენ, მკითხველს, მწერლის ეს „ხრიკი“ ისე მოგწონს, რომ იქვე დასტურით ნიგნის ამაზე ანერ იმავე სიტყვას ოღონდაც წაღმა, ანუ... მანავეტორლობანას გათამაშებს ჯანო ჯიქიძე და თამაშის მთელი ანატომია ისე ოსტატურადაა აგებული, რომ გული გწყდება, ბოლოს თამაშვარე მდგომარეობაში თუ აღმოჩნდები!

მაინც ვინ არის ნაწარმოების მთავარი გმირი, იქნებ სწორედ ანტიგმირი?!

შემთხვევით, სწორედ ის ქალბატონი ხომ არაა, ჯადოსნური თმა რომ უბოძა ავტორმა? ვინ იცის, იქნებ ასეცაა.

და... აქ აუცილებლად გავგონდება ბავშვობაში ნაკითხული ზღაპრები;

მაღალ კოშკში გამომწყვდეული მზეთუნახავი, ჭაბუკმა უნდა გაათავისუფლოს, მაგრამ კოშკის სიმაღლეს როგორ დაძლევა, თუ ეს მზეთუნახავი თავის ნაწინას არ

ჩამოშლის და... ჩვენი გმირიც ამ ნაწინას არ აპყვება?! ეს ალუზიაც აშკარაა, თუმცა... ჩვენითვის ასეთი მზეთუნახავი, უმეტესად სამშობლოსთან ასოცირდება. აკი აკაკი წერეთელმაც – ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს, მოელის ტურფა გამოშხნელსო! ჰოდა, ამ გამოშხნელის პოვნა მთავარი, როგორც მომავლადი სამშობლოს კარდიოგრამის ზედმიწევნით ზუსტად გამოივსება.

ნაწარმოების კითხვისას სხვა უცნაური განცდაც გეუფლება: რატომ, რატომ გრძნობ რომანში უხილავი პერსონაჟის უცნაურ მზერას, თითქოს ზეცასთან თანაზიარცაა, ამავე დროს, მინაზეც მყარად დგას და გიკვირს: რატომ უყვარხარ, რად შემოგცქერის თავგანწირული სიყვარულით?!

ეძებ, ეძებ ამ პერსონაჟს და ბოლოს, სრულიად მოულოდნელ ფინალში პოულობ – ის შენი სამშობლო ყოფილა!

„ეპილოგოსის ეპოლოგში“ ავტორი მთავარ პერსონაჟს – მწერალს, მოინახულებს და შეეკითხება:

– მაინც რას იზამთ სამაჯავროვროს, რას უპასუხებთ თქვენზე განაწყენებული პერსონაჟების, მაღალჩინოსნების, დაბალჩინოსნების, მეცნიერების, ფსევდომეცნიერების, მორწმუნეების, ურწმუნოების ბრალდებებსო?

მწერალი (პერსონაჟი, როგორც ავტორის ალტერ ეგო), ანუ ბატონი ჯანო ჯიქიძე ასე უპასუხებს:

– ერთჯერად ტაქსებს გამოვიძახებ და უკლებლივ ყველა წავალთ დუშეთში.

– რატომ მაინცდამაინც დუშეთში? – მაინც გამიკვირდა მე.

– იმიტომ, რომ იქაური მომრიგებელი მოსამართლისთვის არაფერი ადამიანური უცხო არ არის, – უშნოდ გამიღიმა მან და დარწმუნებით მითხრა, – ყველას მოგვარიგებს, ამაზე ნუ ინერვიულებთ!“

...
მაგრამ...
დუშეთში, მომრიგებელ მოსამართლესთან მისვლის მორალური უფლება, ჯერ ვერ მოგვიბოვებია.


ასე თუ გავაგრძელებთ ცხოვრებას, ვერც მოვიპოვეთ!

ეს ჩემი სუბიექტური აზრია, (სუბიექტური დროისა არ იყოს), ამდენად (ბუნებრივია), ვერავის თავს ვერ მოვახვევ!

პ.ს.
აქ და ასე დავასრულებ ამ პატარა გამომხაურებას და ვინატრებ: რა იქნება, გვქონდეს პოლიოფილის დარი კინოინდუსტრია.

აგერ, ბატონებო, რომანი, ლამის გამზადებული კინოსცენარია და კარგი იქნებოდა, რომ გადაგველო.

...
მაგრამ სანამ პოლიოფილი გვექნება, ბევრმა უნდა ნაკითხოს „ჯადოსნური თმა“, რადგან ასეთი ფეიერვერკული რომანი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო სივრცეში, ჯერ არა გვექონია!



საქმე № 7

გურამ დოჩანაშვილი ბერძნული ანფასით: დიმიტრის ცეკურასის წერილი „გურამ დოჩანაშვილის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ ან ლიტერატურა სივრცის საპირისპიროა“. ავტორის დასკვნა, გნებავთ განხილვის კინტენსენცია – „ეს არის ქართულ ენაზე დაწერილი ნაწარმოები, ენაზე, რომლის შესახებაც საჯაროდ მინდა განვაცხადო და ვალია, რომ შეყვარებული ვარ... „კაცი,

რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, მსოფლიო ლიტერატურას ეკუთვნის“.

დომენიკო, დამწყვედული გმირი, რომელიც ჯერ არ დაბადებულა... თავო ნუღია განხილავს გურამ დოჩანაშვილის რომანს „სამოსელი პირველი“.

ოთხდღიანი გასეირნება ბელარუსში ანუ გონებასუსტი ტარაკანა. ბესო ხვედელიძის მოთხრობა „ჩაკეტული“.

პოეტი, ლოთი და მარიშა – თანამედროვე ყოფის სურათი ფილოსოფიური დასკვნით: ადა-

მიანმა თავის ადგილს თუ ვერ მიავსო, დედამინა გალიად ექცევა. დიმიტრი ნიკლაურის მოთხრობა „ხელისმოძრაობა“.

თემურ ჩხეტიანის ცხოვრებისეული ფილოსოფია პოეტურ კომპოზიციებად და თავო შუკაკიძის სტრუქტურული კომპოზიციები არაფილოსოფიურ ნარატივებად.

„პოეტი ირჩევს საგნების აღნიშვნის გარკვეულ ფორმებს ან გადაჭრით უარყოფს საგნობრივ სამყაროს“. ინტერვიუ ამერიკელ პოეტთან, მერიენ მურთან. ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ.

გარდატეხის ასაკი და ცხოვრების იდუმალი შუქჩრდილები ჩეზარე პავეზეს მოთხრობაში „პირველი სიყვარული“. იტალიურიდან თარგმნა ნათია აბრამიშვილი.

„მითების ნისლეში გახვეული ძველი კოლხეთი“. რეცენზია ნონა ქობალას ნიგნზე „მთავრის მოზაიკა“. გამომცემლობა „ინტელექტი“, 2023. რეცენზიის ავტორი – ილია ჭანტურია.

გარეკანზე გამოტანილი გურამ დოჩანაშვილის პორტრეტის ავტორია მამუკა ტყემელაშვილი.

ჩემს წიგნში „ყველაფერი ფიროსმანის შესახებ“, რომელიც მხატვარ თენგიზ მირზაშვილთან ერთად, ორ წიგნად ფიროსმანის საიუბილეოდ 2013 წელს გამოიცა, წინასიტყვაობი ვენერდი: „ყველას თავისი ფიროსმანი ჰყავს“. ამ სიტყვებით ვიგულისხმებ ფიროსმანის ფენომენისადმი მისი მითოლოგიისადმი იმ არნახეული რაოდენობის ავტორთა, ქართველის თუ უცხოეთის ინდივიდუალური მიმართება, სულიერი კავშირი დიდ ხელოვანთან, რომელთა გამოქვეყნებული ნაწარმები, დაწყებული პირველი პუბლიკაციებიდან, ანუ 1913 წლიდან 2013 წლის ჩათვლით, სისტემურად დავალაგე და ცალკეული ამონარიდების სახით გავაცანი მკითხველს. ვინაიდან იმხანად ცნობილი მხატვრის და მწერლის რეზო (ემელიანე) ადამიას წიგნი „საქართველო-ფიროსმანი“ ჯერ კიდევ გამოცემული არ იყო და იგი მხოლოდ წელს, 2023 წელს, კვლავაც მხატვრის საიუბილეოდ გამოიცა, ბუნებრივია, მისგან გაკეთებული ვრცელი ამონარიდები, უცილობლად, რომ დაამყენებდა ნებისმიერ კრებულს, ვერ მოხვდა ჩვენს ორტომულში, ახლა კი მსურს, ეს დანაკლისი ავტორის გრძნობებთან თანაზიარობით შევავსო.

ბატონ რეზო (ემელიანე) ადამიას, როგორც ჩინებულ მხატვარს, დიდი ხანია ვიცნობ და მისი ნამუშევრების ერთ-ერთ პერსონალურ გამოფენას შემოქმედის საქებარი რეცენზიაც მიუძღვენი, მაგრამ მხატვრის წიგნის გაცნობამ ჩემში უჩვეულო გრძნობა დაბადა, თურმე მხოლოდ სანახევროდ ვიცნობდი ავტორს, რომელიც, თავისი ხანდაზმულობის მიუხედავად, საოცრად ძლიერი შინაგანი ენერჯით დამუხტულ სულიერებას ასხივებს.


თვით წიგნის სახელწოდებამ „საქართველო-ფიროსმანი“ გამახსენა გრიგოლ რობაქიძის სიტყვები: „ხედავ ფიროსმანს და გვერს საქართველო“. ძნელია, ზუსტად განსაზღვრო, ლიტერატურის რა უნარს მიეკუთვნება რეზო ადამიას მიერ გულიდან წამოსული, ერთმანეთზე გადანწეული სიტყვათა რიგი, წყალვარდნილივით რომ მოაქვს მხატვრის გულწრფელი, გულიდან ამონახეთი, უკვე კარგა ხანია დავინწყებული, მაღლიანი ქართული სიტყვების სამოსელში, ზოგან პუნქტუაციადარღვეული, მაგრამ საოცრად ხალასი გრძნობათა ტალღა. ჩემს წარმოდგენაში ეს არის პოეზია პროზად, თუნდაც თეთრ ლექსთან წილნაყარი, აზრით დატვირთული მხატვრისეული აღქმა ფიროსმანის შემოქმედების ამოუხსნელი, კოსმოური ძალმოსილებით დაქარაგმებული მეტყველებებისა. რეზო ადამიამ კარგად იცის, რომ მკითხველის გულის კარის გასაღებად, ლადო ასათიანის ფიროსმანისადმი მიძღვნილი ლექსი „არ ვიცი ასე რამ შემავარა“ საუკეთესო გასაღებია, ხოლო საკუთარი ნაზრვისთვის ნერტილის დასასმელად – ფიროსმანის მსგავსად ცხოვრებით ნატანჯვი პოეტის ტერენტი გრანელის ლექსი „შენ დაგედეგა სამიკიტნო რკინის რაზებით“, საუკეთესო ეპილოგად გამოდგება. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ რეზო ადამია დიდხანს, წლების განმავლობაში, გულში ინახავდა იმ ემოციებსა და გრძნობებს, რომლებიც ნიკო ფიროსმანის შემოქმედებასთან, მის შედეგებთან ყოველი მიახლება, საოცარი ძალით იპყრობდა. ასეთი შეხვედრა კი ლამის ყოველდღიური იყო, რადგან ავტორმა 60-70-იან წლებში ჯერ სოხუმის სამხატვრო სასწავლებლის და შემდგომ თბილისის სამხატვრო აკადემიის დასრულების შემდეგ, მუშაობა აკად. შალვა ამირანაშვილის ხელდასმით დაიწყო საქართველოს ხელოვნების

მუზეუმში მხატვარ-რესტავრატორად მხატვარ გიორგი მაქაცარიასთან ერთად. ეს ის პერიოდაა, როდესაც განსაკუთრებით გააქტიურდა ნიკო ფიროსმანის შემოქმედების საზღვარგარეთული ტურნეები. ყოველი ექსპონატის გატანა და

თერთმეტი წიგნია, მათ შორის ნომინირებული წიგნები: „წმინდა ნინო“ და რომანი „მზე“, რომლის პრეზენტაციაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის დარბაზში შედგა, სადაც თავად პრეზიდენტმა,

მათრასიანი წიგნა გიორგი

რეზო (ემელიანე) ადამიას წიგნა „საქართველო-ფიროსმანი“



დაბრუნება სამუზეუმო ფონდებში დატოვების თვალსაზრისით მოწმედობდა მხატვარ-რესტავრატორთა მიერ, ზოგჯერ მეგზურადაც მიჰყვებოდნენ გამოფენებს. თითქოს ასეთ ყოველდღიურ კავშირს ფიროსმანის შედეგებთან მიჩვეული გამოწვეული გულგრილობა უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ არა, რეზო ადამიასთვის ყოველი შეხვედრა ნიკალას ირმებთან თუ სააღდგომო ბატონებთან, კრუხთან და მის წინააღმდეგობას, დათვით მთავარიან ლამეში, ჟირაფთან, თუ ვარდისფერ ლომთან, აქტრისა მარგარიტასთან, თუ მეგზოვსთან, ორთაჭალელ ტურფებთან თუ ერთგვარ მაგიურ რიტუალში ჩართულ მოქიფებებთან საოცარი ფლუიდებით, მისტიკური კოსმოური სხივებით ავსებდა ახალბედა მხატვარ რესტავრატორს. მათგან წამოსული საკრძოლური ძალა ატყვევებდა და ღრმა ფიქრებში ხევედა ბუნებით გულწაბრობილ მხატვარს. ამის მერე ბევრმა წყალობა ჩაიარა, რეზო ადამიას წლების მატებასთან ერთად შემოქმედებითი გამოცდილებაც ემატებოდა, თვალსაზრისის გაფართოებისთვის კი ძალიან მნიშვნელოვანი იყო მისი საფრანგეთში გამგზავრება, სადაც მთელი თერთმეტი წელი დაჰყო, ბევრი გამოფენაც ჰქონდა, იქ აღიარებაც მოიპოვა და მიპატიჟებაც დარჩენილიყო სამუდამოდ ფრანგულ მინაზე. თუმცა სამშობლოს დანატრებული მხატვარი მშობლიურ გარემოს მიაშურებს და იქ, მამაპაპურ კარ-მიდამოს მშენებებს – ძველი კოლხური, ტრადიციული ოდა-სახლის არქიტექტონიკის, მისი ასტრალთა ურყევი კავშირის ხიბლს მთელი გულით შეიგრძნობს.

რეზო ადამიამ მხატვრობის გარდა, ბედი მწერლობაშიც სცადა და ძალზე შედეგანად. მას, როგორც მწერალს ორგზის მიენიჭა ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია. მის აქტივში

აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა წარადგინა წიგნი. აღსანიშნავია, რომ წიგნის „საქართველო-ფიროსმანი“ წინასიტყვაობ ბატონებს: როინ მეტრეველსა და ვალერი ასათიანს ეკუთვნით, ასევე, წიგნს მკითხველის წინაშე წარადგენს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი მაყვალა გონაშვილი (წიგნი დაიბეჭდა 2023 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით). დღეს, როდესაც შვეიცარიაში, ბელიერის ფონდში ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრების ვრცელი გამოფენა გაიხსნა, შემთხვევითი არ არის, რომ პარალელურად, იმავე საგამოფენო სივრცეში ანრი მატისის ნამუშევრების გამოფენაც იმართება, რადგან ის სიახლე, რაც პროფესიონალმა მხატვარმა ანრი მატისმა მოუტანა მეოცე საუკუნის ევროპულ მხატვრობაში, როგორც საოცარი მორაული პარადიგმული მოვლენა ქვეცნობიერად უფრო ადრე თავს იჩენს არაპროფესიონალ მხატვარ ნიკო ფიროსმანის შემოქმედებაში. აკი, ფერის ენერგეტიკის ძალუმად შემგრძობთა ჩამონათვალში ფიროსმანის გვერდით, რეზო ადამია ასახელებს: „...მზე ვან-გოგს, ფერ-სიუხვეთა ლალი დინებით ვლამინკს, რიტმული ფერთ როკვა-გუგუნით მატისს...“ შემდეგ მოდიან: მოდილიანი, კანდისკი, დოუფი, სუტინი და სხვ. სწორედ მსგავსი თანმიმდევრობით ასახელებს ნიკო ფიროსმანის გვერდით მეოცე საუკუნის ნოვატორ ევროპულ მხატვრებს ბელიერის ფონდის ხელმძღვანელი სამუელ კელერიც. სასაიმოვნოა ის ფაქტი, რომ რეზო (ემელიანე) ადამიას წიგნი „საქართველო-ფიროსმანი“, საქართველოს საგანგებო და სრულყოფილიან ელჩს შვეიცარიაში რევაზ ლომინაძეს ძღვენად გადაუცია ბელიერის ფონდის ხელმძღვანელისთვის.

ბატონ რეზო ადამიას მიზნად არ დაუსახავს, მისხალ-მისხალ განეხილა ნიკო ფიროსმანაშვილის თითოეული ნაწარმოები, ეს ხელოვნებათმცოდნეთა საქმეა, მან თავისი გულწრფელი მიმართება მხატვრის შემოქმედების საკუთარ აღქმას დაუქვემდებარა და ის გრძნობები და ემოციები გადმოსცა, წლების წინ მხატვრის შემოქმედებასთან ყოველდღიური ზიარებით რომ დაეაგროვა.

რეზო ადამიას წიგნი „საქართველო-ფიროსმანი“ ორი ნაწილისგან შედგება. თუ პირველი ნაწილი ეთმობა საკაცობრიო მხატვრობის კონტექსტში, ფიროსმანის მითოლოგიის მხატვრისეულ აღქმას, მეორე ნაწილი ნიკო ფიროსმანაშვილთან დაკავშირებით საინტერესო ცხოვრებისეულ ფაქტებს – მისი სამეგრელოს მკვიდრის ივანე კეკუას, იგივე კეკეაძესთან ურთიერთობის ქრონიკა გადმოცემული. ამ ფაქტის შესახებ პირველად კორილე ზდანევიჩისგან ვიგებთ, თუმცა ფრანგულენოვანად. თუ როგორ დაეძებდა სოფელ ეკში სპეციალურად ჩასული

ფიროსმანის ერთ-ერთი პირველი აღმოჩენი კორილე ზდანევიჩი, გადმოცემით მისთვის ცნობილ 10-მდე ნამუშევარს, რომელიც ნიკო ფიროსმანაშვილს უჭუქებია ივანე კეკეაძისთვის. კ. ზდანევიჩს რის ვაი-ვაგლახით იმ პირველ ჩასვლაზე, როდესაც სოფელ ეკამდე დიდი მანძილის ფეხით დაფარვა მოუწია, მხოლოდ ორი ნამუშევარი შეუძენია, უკვე ხანდაზმულ ივანე კეკუასგან, იმ იმედით, რომ შემდეგ ჩასვლაზე დანარჩენსაც მოიპოვებდა. თუმცა, მეორე ჩასვლა თავზარდამცემი ამბის მომასწავლებელი აღმოჩნდა. ივანე კეკეაძის გარდაცვალების შემდეგ ფიროსმანისეული შედეგების ახალი მეპატრონის კეკუების ოჯახში ჩასიძებული ვინმე ჩიქობავას დაუდევრობით, ხანძარმა შთანთქა მსოფლიო მნიშვნელობის ქმნილებები. ბატონი რეზოს მიერ ძველ სენაკში 1997 წლის 25 ივლისს ჩანერული ეს ისტორია 100 წელს მიღწეული ივანე კეკუა (კეკეაძის) მკვიდრი ბიძაშვილის, დარბაისელი მეგრული გლეხკაცის სამსონ კეკუასგან, უტყუარ ცნობებს ეყრდნობა და წარმოადგენს ფიროსმანოლოგიური შემდგომი კვლევისთვის მეტად მნიშვნელოვან ფაქტს, რომლის შესახებაც ამ დრომდე სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრი ურთიერთგამომრიცხავი ცნობა არსებობდა.

ბატონი რეზო ადამიას წერის მანერა, პოეტური თხრობის სტილი ავლენს მდიდარი წარმოსახვითი უნარის მქონე მხატვარს, რაც განსაკუთრებით მისი, როგორც ფერმწერის, თვალთ დახასულ მეტაფორულ შედარებებში ვლინდება.

მინდა კიდევ ერთი ამონარიდი მოვიტანო რეზო ადამიას წიგნიდან, რომლის 67-ე გვერდზე, საოცარი გულწრფელობით და ფიროსმანისეული უშუალობით აღიარა ავტორმა იმ შემოქმედებითი იმპულსის შესახებ, რომელმაც უბიძგა მას, გულში წლობით ნადები გაემუღვენებინა: „...წუხების, შუალამეს, მოურიდელად გამაღვიძეს სულში გამჭოლმა ზენარმოსახვებმა და პირდაპირ მიბრძანეს: – იიღე ქალაღი, კალამი და ყოველივე ჭეშმარიტი სინამდვილით მოწოდებული ფიროსმანის ლიტერატურულ-მხატვრული პორტრეტი დახატე, რამაც ქართული უფლისმიერი სიტყვები და ზენარული შთაგონება ზედმიწევნით დაგეხმარებო. დიდმა ემოციამ და ჩემმა ცალკე აწრიალებულმა, თითქმის გახელებულმა სულმა მთელი სხეულით, გულით და გონებით ამანოკა და ჩემში ნიკო ცოცხლად გაცხადებული დადიოდა და ჰოი, საოცრებავ, ლამე დღედ მექცა...“ როგორ ჰგავს წიგნის ავტორის ეს სიტყვებს ნიკო ფიროსმანის სიტყვებს: „წმინდა გიორგი თავზე მადგას მათრახით და მეუბნება „ხატე, ნიკალა, ხატე“

დასასრულ, რეზო (ემელიანე) ადამიამ კიდევ ერთხელ მთელი სიმწვავით დააყენა ყველა ქართველი მხატვრისა და ხელოვნებათმცოდნის საწუხარი, როგორ ვერ მოხერხდა დღემდე ნიკო ფიროსმანაშვილის სრული მეტყველებისთვის ცალკე მუზეუმის აგება, სადაც წარმოდგენილი იქნება ფონდებიდან გამოტანილი მხატვრის უკლებლო ყველა ნამუშევარი, სადაც თანამედროვე სამუზეუმო მონიწივე ევროპული სტანდარტების დაცვით, სრულყოფილად წარმოჩინდება ნიკო ფიროსმანი – ჩვენი ეროვნული სიამაყე, მხატვარი, რომლის შემოქმედებაც საქართველოთი იზომება.

ირინე აბუსაძე

საბა კლასიკიდან

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, რომ პრემია „საბა“ წლის საუკეთესო ქართული თარგმანისათვის, დოდო ყვავილაშვილთან ერთად (ბორხესის „ფიციები“), გადაეცა გიორგი ხულორდავას, რომელმაც სპარსულიდან თარგმნა აბდორ-რაჰმან ჯამის „ბაჰარესთანი“.

„ბაჰარესთანი“ მიჩნეულია სპარსული ლიტერატურის კლასიკოსის აბდორ-რაჰმან ჯამის (1414-1492) უმთავრეს დიდაქტიკურ თხზულებად, რომელშიც გადმოცემულია სხვადასხვა სახის შეგონებანი, შუა საუკუნეების აღმოსავლური მისტიციზმის თვალსაჩინო წარმომადგენელთა

მოსაზრებები და უაღრესად მახვილგონივრული იგავ-არაკები. ამ თხზულებაშივე მოცემულია ჯამის წინამორბედ პოეტთა ერთგვარი ანთოლოგია.

„ბაჰარესთანის“ წინამდებარე თარგმანი, რომელიც ქართულ ენაზე პირველად შესრულდა, ითვალისწინებს ჯამის შემოქმედების კვლევის ქართულ, სპარსულ და ევროპულ ტრადიციებს. გარდა ამისა, თარგმანში აღდგენილია დედნისეულ ტექსტში ირანული ცენზურის მიერ ნაშლილი ცალკეული ეროტიკული და სკაბრეზული პასაჟები.

წიგნს ერთვის მთარგმნელის, გიორგი ხულორდავას, საინტერესო წინასიტყვაობა და კომენტარები. გამოსცა „არტანუჯმა“ **სხვა კლასიკის** სერიით (პროექტის ავტორი ზვიად კვარაცხელია).



ინე ფოსე სოხელის პრემიის ლაურეატი

ჯამოციის პირველი ნუსხები

ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი ნორვეგიელი მწერალი ინე ფოსე გახდა. შედეგით აკადემიის განცხადებით, ფოსეს ჯილდო გადაეცა „ნოვატორული დრამისა და პროზისათვის, რომლებშიც მას ენით გამოუთქმელის ამტყვევლება შეუძლია“.

ნობელის კომიტეტმა ისიც დასძინა, რომ იუნ ფოსე განსაკუთრებული შესაძლებლობებით კარიერის დასაწყისშივე გამოიჩინა და სწორედ მისმა თავისებურმა, სრულიად განსხვავებულმა წერის სტილმა განსაზღვრა უიურის გადწყვეტილება. აღსანიშნავია ისიც, რომ მწერალს თითქმის 2001 წლიდან მოიხრებდნენ პრემიის სავარაუდო ლაურეატად.

იუნ ფოსე სასიხარულო ამბის გაგებას, ასე თუ ისე, აუღელვებლად შეხვდა. თავადვე აღნიშნა, გაკვირვებული ვარ, მაგრამ თითქოს ეს ჩემთვის მოულოდნელი მაინც არ ყოფილა. ნორვეგიელმა ავტორმა და დრამატურგმა NRK-სთან, ნორვეგიის სამაუწყებლო კორპორაციასთან საუბარში განაცხადა, რომ დიდად დაფასებულად გრძობდა თავს პრემიის მიღების გამო და ის პირველი ნუსხებიც გაიხსენა, როცა ეს ამბავი შეატყობინეს: „გამიკვირდა, როცა დამირეკეს, მაგრამ არც იმდენად. ბოლო ათი წლის განმავლობაში ნელ-ნელა, სიფრთხილით ვამზადებდი შინაგანად თავს ამისთვის“.

ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილების შესახებ მან შედარებით

ადრე გაიგო, იმ დროს ავტომობილში იჯდა და ნორვეგიის დასავლეთისკენ მიემგზავრებოდა. „დაახ, ჩემთვის უბრალოდ ავტომობილში ვიჯექი. წყნარად და მშვიდად გზას მივუყვებოდი. უცებ მატყმა, აკადემიის მდივანმა, დამირეკა და შემატყობინა, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია თქვენ მოგენიჭათო“.

– გაუშვილა მან გაზეთ VG-ს. „როცა საქმე აღიარებას ეხება, ნობელის პრემია ყველაზე აღმატებული ჯილდოა, რაც კი შეიძლება არსებობდეს. თუმცა პირადად ჩემთვის უმნიშვნელოვანესია თავად ის, რასაც წერის პროცესი ჰქვია. როცა გაუჩერებლად, შთაგონებით წერ და საბოლოო მიზანს აღწევ“.

– ამბობს იგი. ეს გრძობა მისთვის უცხო სრულბითაც არაა. სწორედ ასეთი შეგრძნება ეუფლებოდა ბოლო ნაწარმოების, „სეპტოლოგიაზე“ მუშაობის დროს, რომელმაც დღის სინათლე 2021 წელს იხილა.

მწერალი მშვიდ ცხოვრებას წლებთან ერთად უფრო და უფრო აფასებს. „როცა ახალგაზრდა მწერალი გქვია, ბოჰემურ ცხოვრებაზე, მაგალითად, კაფეში ჯდომასა და მსგავს რამეებზე უარს ვერ ამბობ. რაც უფრო ასაკში შედიხარ, თავად წერა სხვა შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი“.

– ეუბნება იგი VG-ს.

ეს არც არის გასაკვირი, რამდენადაც საზოგადოება ფოსეს თავმჯდომარე, უბრალო აღმანიად იცნობს. „ისევე ისე განვარდობ წერას და ისევე გამოვცემ ნიგნებს, როგორც აქამდე. სწორედ ისევე ავარდებ თავს ლიტერატურულ ფესტივალებსა და მსგავს ღონისძიებებზე გამოჩენას“.

– ამბობს იგი და აცხადებს, რომ ნობელის პრემიასაც წყნარად, ოჯახის წევრებთან ერთად აღნიშნავს.

იუნ ფოსე ნობელის პრემიას იმგვარი ლიტერატურის დაფასებად და აღიარებად მიიჩნევს, რომელიც პირნათლად ემსახურება ლიტერატურულ იდეალებს, ყოველგვარი დამატებითი ფაქტორების გათვალისწინების გარეშე. იგი მოპოვებულ ჯილდოს უმაღლესი და თან უძღვრის კიდევ ე.წ. ახალნორვეგიულ ენობრივ ვარიანტს, ნორვეგიული ენის ერთ-ერთ ფორმას და მიიჩნევს, რომ თავის დროზე სწორედ ამან განსაზღვრა მისი, როგორც ავტორის, ლიტერატურული სტილი და შემდგომში თავად ეს უმაღლესი ჯილდოც.

„წერა ჩვევაში გადამეზარდა. ახლა 64 წლის ვარ, 12 წლიდან ვწერ და ალბათ ასე გავაგრძელებ. იქნებ

უფრო სასიამოვნოც იყოს წერა მას შემდეგ, რაც ყურადღების ცენტრში აღმოჩნდი“.

– ამბობს იგი და თან დასძენს, რომ ასეთი გაცხოველებული ინტერესი მის მიმართ მაინც, ცოტა არ იყოს, დისკომფორტს უქმნის.

ნობელის პრემიის ლაურეატი ნობელის კომიტეტისგან 10 მილიონ შვედურ კრონას მიიღებს. გაზეთ „Bergensavisen“-ის კითხვას, თუ რაში დახარჯავს მიღებულ თანხას, იგი პასუხობს: „არ ვაპირებ დახარჯვას, ისედაც არ მიყვარს ფულის ხარჯვა. პიკასომ ერთხელ თქვა, კაცს ბევრი ფული უნდა ჰქონდეს, მაგრამ ღარიბივით უნდა ცხოვრობდესო. ჩემი ცხოვრებისეული დევიზიც ესაა“.

„Bergens Tidende“-ს კორესპონდენტს კი ამ გადაწყვეტილების მიზეზსაც უმხელს: „მრავალი წლის განმავლობაში ღარიბი მწერალი მერქვა. შემდგომში არც მიფიქრია, შემეცვალა ცხოვრების ასეთი სტილი“.



ნორვეგიელი მწერლის უდიდესი წარმატება მის სამშობლოში ისტორიულ დღედ იქცა. სასიხარულო ამბის გამოცხადებისა და ელვის სისწრაფით გაგრძელების შემდეგ არ წყდება მილოცვები ფოსესა თუ თანამემამულეების მიმართ. ნორვეგიის მეფე ჰარალდი გულითადად ულოცავს საზოგადოებას ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილებას. მილოცვას უერთდებიან ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი, კულტურის მინისტრი, თანამედროვეობის ყველაზე ცნობილი ნორვეგიელი მწერალი იუ ნესბო და სხვა პოლიტიკოსები თუ კულტურის სფეროს წარმომადგენლები.

დღეს უკვე ნობელიატი მწერლის ნაწარმოებები თვალის დახამამებაში ქრება ნიგნის დახლებიდან. იუნ ფოსეს აგენტი გინა ვინი

ველარ აუდის მთელი მსოფლიოდან შემომავალ სატელეფონო ზარებს: „ასობით შეტყობინება დამიგროვდა, რომელთათვისაც ჯერ არ მიპასუხია. ვინც რეკავს, ყველა გულმხურვალედ გვილოცავს ... ეს პრემია არა მხოლოდ იუნ ფოსესა და მისი შემოქმედებისთვისაა მნიშვნელოვანი, არამედ ნორვეგიისა და ნორვეგიული ლიტერატურისათვის. ამ ჯილდოზე კიდევ დიდხანს ვილაპარაკებთ“. ფოსეს ნიგნების რედაქტორი სესილია საინესი საქებარ სიტყვებს არ იშურებს: „როგორი სასიხარულო ამბავია, როგორი ფანტასტიკური. წელს 40 წელი გახდება, რაც მან პირველი ნიგნი გამოსცა ... ყველა ჟანრში გამოიჩინა თავი. მე ის მიხარია, რომ ამერიდან ყველა გაიგებს მისი საოცარი ნაწარმოებების შესახებ. ნობელის პრემია მას უმაღლესი ხარისხის ლიტერატურისთვის, თვითმყოფადი და უჩვეულო შემოქმედებისათვის მიანიჭეს. თვითონაც ძალიან კარგი ადამიანია და მას ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ“.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილებით, როგორც ჩანს, ყველა კმაყოფილი არ დარჩენილა. შვედურ გაზეთ „Expressen“-ში იუნ ფოსეს გამარჯვება გააკრიტიკეს. გაზეთის კულტურის განყოფილების რედაქტორმა ვიქტორ მალმმა განაცხადა, რომ პრემიას სხვა ნორვეგიელი მწერალი, დაგ სოლსტადი უფრო იმსახურებდა. ფოსეზე ცუდს ვერ ვიტყვით, მაგრამ მე ნობელის პრემიას უფრო მის თანემემამულეს მივანიჭებდი, რომელსაც მთელ მსოფლიოში ბადალი არა ჰყავს სკანდინავიური სახელმწიფოებრივი მონყობის ისტორიულ ჭრილში დანახვასა და მხატვრულ ენაზე გარდასახვასში. იგი იმედგაცრუებულია იმით, რომ შედეგით აკადემიამ ნაკლებად ამჩნევს სოლსტადს და წერს, რომ მსგავსი შეცდომებისგან ჯერ კიდევ არაა დაზღვეული პრესტიჟული ლიტერატურული პრემიები.

თუმცა თავად სოლსტადის მეუღლე სასიამოვნოს და დამსახურებულს უწოდებს იუნ ფოსეს წარმატებას, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში სოლსტადის სახელიც ხშირად გაჟღერებულა ნობელის პრემიის კანდიდატთა შორის. „დაგი ცდილობს ამას დიდი ყურადღება არ მიაქციოს. ეს ხომ ერთგვარი ლატარეაა, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა არ უნდა მიანიჭო“. – ამბობს იგი.

ნორვეგიელი მწერალი ანე რაგდეც იმ აზრს იზიარებს, რომ ნობელის პრემია გარკვეულწილად ილბალთანაცაა დაკავშირებული. ცხადია, ფოსეს გულითადად ულოცავს მოპოვებულ ჯილდოს და დაგვიანებულსაც კი უწოდებს კომიტეტის გადაწყვეტილებას. მას მაგალითად დორის ლესინგი მოჰყავს, რომელსაც პრემია 2007 წელს მიანიჭეს. იგი იმდენი ხნის განმავლობაში ელოდა კუთვნილ აღიარებას, რომ სასიამოვნო ამბის გაგებამ საერთოდ არ ააღელვა და უჩვეულოდ ცივდაც კი შეხვდა ასეთ ნარმატებას. რაგდე იმედოვნებს, რომ იუნ ფოსე უფრო მეტად დატკბება საპატიო ნიშნების მიწოდებით.

საინტერესოა, რომ ნორვეგია 95 წელი ელოდა ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიას. ფოსეს გარდა, ნობელის პრემიის ისტორიაში სამ ნორვეგიელ მწერალს მიუღია ჯილდო – ბიორნსტიერნე ბიორნსონს (1903 წ.), კნუტ ჰამსუნს (1920 წ.) და სიგრიდ უნსეტს (1928 წ.). ამდენად, იუნ ფოსეც ამაყად უერთდება აღიარებული ნორვეგიელი მწერლების ჯგუფს. იგი 70-მდე ნაწარმოების ავტორია, წერს რომანებს, პიესებს, მოთხრობებს, ლექსებსა და ესეებს. მისი ნიგნები დაახლოებით 50 ენაზეა თარგმნილი და გამოცემული. აქტიურად თანამშრომლობდა ეროვნულ თეატრთან, რომელთან ერთადაც თითქმის მთელი მსოფლიო მოიარა. მისი ბოლო ნამუშევარი, რომანის „სეპტოლოგია“ წელს „ბუკერის“ საერთაშორისო პრემიაზე წარადგინეს. თანამედროვეობის უდიდესი დასავლეთნორვეგიელი მწერალი გამოიჩინა თავისი განსაკუთრებული ლიტერატურული ენით, მუსიკალური და რიტმული წერის სტილით, განმეორებითი პასაჟებით, მკითხველზე ჰიპნოზურად ზემოქმედებით. იგი ჰენრიკ იბსენის დრამატული ტრადიციების საუკეთესო თანამედროვე გამგრძელებლად მიიჩნევა. მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებებიდან უნდა აღინიშნოს რომანები: „წითელი, შავი“ და „მელანქოლია“, პიესები: „სახელი“, „ღამის სიმღერები“, „შემოდგომის ოცნება“, „მე ვარ ქარი“ და სხვ.

იუნ ფოსეს ნობელის პრემიას შედეგით მეფე კარლ XVI გუსტავი სტოკჰოლმში გამართულ ოფიციალურ ცერემონიაზე 10 დეკემბერს გადასცემს.

ნორვეგიული პრესის მიხედვით მოამზადა ანა ამირხანაშვილმა



კოლა ელშარი

თავისუფლობა

ქვიშაზე თოვლზე მერხზე ხეებზე ნაკითხულ წიგნზე და რვეულებზე ფურცელზე ფერფლზე სისხლიან ქვაზე მე ვწერ შენს სახელს

ნახატზე ჩარჩომოქროვილზე ბუდეებზე და ბუჩქის ყვავილზე ჩემი ბავშვობის გამოძახილზე მე ვწერ შენს სახელს

მეფის გვირგვინზე და საჭურველზე ცხელ უდაბნოში მწვანე ჯუნგლებზე ლურჯ ღამეების საოცრებებზე მე ვწერ შენს სახელს

ბედნიერების იმ თეთრ დღეებზე დროებზე ერთურთდანიდულებზე ძველ ნისქეილებზე დაბინდულებზე მე ვწერ შენს სახელს

მზეჩალვრილ ტბორზე მთვარიან ტბაზე ანთებულ კვარზე დასეტყვილ კვალზე დაქანცულ მთაზე და ჩიტის ფრთაზე მე ვწერ შენს სახელს

მინდვრების მწვანე ჰორიზონტებზე ზურმუხტად ქცეულ მზიან კორდებზე და აბრეშუმის ლაზურიტებზე მე ვწერ შენს სახელს

ამოსუნთქვაზე ყველა აისის ყვავილობაზე ყველა მაისის და მზის ჩასვლაზე ყველა დაისის მე ვწერ შენს სახელს

ქარიშხალზე და მქროლავ ზღვაურზე თეთრ თოლიების აურზაურზე გემის ქიმზე და ჩემს სამკლაურზე მე ვწერ შენს სახელს

ღრუბლის ქულაზე ისფერ ნისლზე ცაიერადზე და წვიმის წინწკლებზე

ბოგორზე ტივზე ბორანზე ხიდზე მე ვწერ შენს სახელს

ვრცელ სივრცეების ფერთა გამაზე ცისკრის ზარებზე ცის კამარაზე კლდის ქარაფზე და ვინრო შარაზე მე ვწერ შენს სახელს

ჩემს ღამენათევ გრძელ ბილიკებზე ჩემს გადახლართულ დაბნულ გზებზე და გადავსებულ ვრცელ მოედნებზე მე ვწერ შენს სახელს

აბრდვიალებულ და ჩამქრალ კვარზე ერთად შეკრებილ ტყუილ-მართალზე ჩემს მიზეზსა და ყოფნის მიზანზე მე ვწერ შენს სახელს

ორ ტოლ ნაწილად გახლეჩილ ხილზე ჩემი ოთახის სარკეში სხივზე და ცარიელი ნიჟარის პირზე მე ვწერ შენს სახელს

ჩემი დიდყურა ძაღლის ყურებზე მის მოუხეშავ და ტლანქ თათებზე მის გაუკრეჭავ და მზინავ თმებზე მე ვწერ შენს სახელს

ჩემი დაბნული კარიბჭის ძელზე ჩემს უსაყვარლეს საგნებზე ძველზე ცხოველმყოფელი სიკეთის ცეცხლზე მე ვწერ შენს სახელს

ყველა ბოძებულ გრძობაზე ნრფელზე და ყველა ჩემი მეგობრის თხემზე დახმარებისთვის გამოწვდილ ხელზე მე ვწერ შენს სახელს

ყველა ნათელზე მოულოდნელზე და მოლოდინით სავსე ბაგეზე სიტყვაზე მაღლა მდგომ სიჩუმეზე მე ვწერ შენს სახელს

ნანგრევზე ჩემი თავშესაფრისა ნამსხვრევზე ჩემი ბნელი ფარნისა კედლებზე ჩემი სიმწუხარისა მე ვწერ შენს სახელს

ჩემს გამოშვლებულ მარტოობაზე ჩემს უნებლიედ ჩემს არყოფნაზე გარდაცვალების გარდუვალ სვლაზე მე ვწერ შენს სახელს

ჩემს დაბრუნებულ სიჯანსაღეზე გადალახულ და გამქრალ საფრთხეზე და იმედებზე სსოვნის გარეშე მე ვწერ შენს სახელს

მაღლით და ძალით იმ ერთი სიტყვის თავიდან ვინყებ ცხოვრებას მიწყვი მე დავიბადე რომ შენ გიცნობდე და სწორედ ერთი სიტყვა გინოდე თავისუფლება.

თარგმანი რუსუდან გომბარაშვილისა

ჰოდა, - ასეთი რამ იშვიათად ხდება - თავი სწორედ იმ სიზმარში ამოვყავი, რომელიც ათონზე დამესიზმრა ღვთისმშობლის მიძინების დღეს, როცა ღამენათევს ჩამეძინა ტრაპეზის მერე და როცა სიზმარებიც კი სხვანაირია. და იმ სიზმარში მესიზმრა რეპორტაჟის ის ტექსტი, რომელსაც ჩემი რედაქტორი ელოდა მრავალი წლის წინათ თუ მრავალი წლის შემდეგ, იმის მიუხედავად, რომ თვითონაც არ იცოდა, რომელი იყო ჩვენს შორის ან რედაქტორი ან რეპორტიორი ან კიდევ მკითხველი.

ჰოდა, მე ვფიქრობ, სწორედ გამოვიტანე იმ რეპორტაჟის სიზმრისეული ტექსტი. ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია, სანამ გავიღვიძებ.

ჰოდა, გიხაროდნენ! ჰოდა, ქრისტეს აქეთ 2023 წელსა, მარიამობისთვის 28 დღესა აკურთხეს ქართველთა მონასტერი ესე ადგილსა მას პროვანსასა, რომელი არს წმიდასა მთასა ზედა ათონს.

ჰოდა, კურთხეულ არს ღმერთი, რომელი-იგი გამოუთქმელითა მით განგებულებითა თვისთა უმჯობესსა ყოველთასა განაწესებს, და მიუწოდებლათა სახიერებითა თვისთა გამოაჩინებს - სარგებელად კაცთა ნათესავისა და სადიდებლათ ღმრთეებისა თვისისა და რომელმან ჩუენთაცა ამათ ჟამსა შინა გამოაჩინა ღირსეული ბერი ილარიონი, რომელი იყო ნათესავით ქართველი, გვარად ლიპარტელიანი, ბრძენი და გონიერი გონებითა და გულიანობითა ყოფითა, და სავსე შიშითა ღმრთისადა კეთილისა საქმითა.

ჰოდა, ვინადაც ცეცხლი იგი ქრისტეს სიყვარულისა გულსა მისსა მძაფრად აღეტირა, ყოველივე დიდებანი ამის სოფლისამ შეურაცხ-ყო და ნაგვეად შეპრაცხა და მონაგებნი და სიმდიდრე და განსუენება, და, რაოდენიცა რამ არს ამის სოფლისამ სრულიად მოიძულა და უგულვებელს-ყო და მერმე კულად თავიცა თვისი, სიტყვისაებრ უფლისა, და აღილო ჯუარი მჰართა თვისთა ზედა და ნეტართა მათ მამათა ლოცვამ მიიღო და საბერძნეთისა ქუეყანად მიჰმართა, რამეთუ ევლტონად დიდებასა კაცთასა. და ესრეთ მთაწმიდასა ათონისასა მიიწია და მონასტერსა ერთსა რომელი არს სერბთა და რომელი ნოდებულ არს ქილანდარად და მათგან კურთხევამ მონაზონებისამ მიიღო და ჟამ რაოდენმე ღუანლითა ძლიერითა მორჩილებასა მისთა თავი თვისი და ყოველი იგი მუნ მყოფნი მოღუანენი განაკვრვანა.

ჰოდა, რამათა მოკლედ ვთქუა, რამეთუ არა თუმცა უფალი შენეულ იყო ჩუენდა და მეოხებითა წმიდისა ღმრთის-მშობელისა და მათ წმიდათა მამათა ჩუენთა მადლი და ლოცვამ, დღეს არცამცა ერთი ქართველი არა იპოების ესევიტარსა ამას ვრცელსა და დიდებულსა მთაწმიდასა შინა, რომელი-ესე მონასტერი ივერთისა ფრიადითა წარსაგებელითა და მრავლითა ოფლითა მათ წმიდათა მამათა ჩუენთადა ჩუენ ქართ-

ველთათს აღმუენებულ იყო და აღმართებულ.

ჰოდა, შემდგომად რაოდენისამე ჟამისა, ვინადაც განითქუა სახელი მისი და პატივსა უყოფდეს ბერძენნი და სერბნი და ქართველნი, აღილო ხორციელი ძმაი თვისი გოგი და მოვიდა დიდსა ათანასესა და მუნ შეეწყნარა. და აქუნდა თავისი თვისი ფარულად, და ყოველთავე საქმეთა მორჩილებისათა სიმდაბლით და უდრტუნელად იქმოდა, და იყო ორი წელი გინა უმეტეს. და ამისა შემდგომად განიზრახეს და თქუეს, ვითარმედ; „აქა ყოფამ ჩუენი შეუძლებელი არს, კაცნი ვართ სახელოვანნი და ქართველნი მოგუმართებენ“, და ესე გამოარჩიეს, რამათა თავისუფლად თვისი სავანე აღაშენონ. და დადათუ უძნდა საქმე ესე ილარიონს, გარნა ქართველთა განსუენებისათს და უფრომს ხოლო გოგის აშენებისათს თავს-იდვა ამისი ჰელყოფამ. და ღმრთისა მომადლებითა პოვეს ადგილი შუენიერი, ახლოს მონასტერთა ივერთისა და აღაშენეს სავანე და ეკლესიანი წმიდისა ღმრთისმშობლისა მიძინებისა სახელსა ზედა ფრიადითა ოფლითა და ღუანლითა. და ადგილნი მრავალნი სავანისა და სა(და)ყუდებულნი გარემოის დიდისა ლავრისაგან თვისითა საფასითა იყიდნეს, რომელნი-იგი შუენიერ არიან და სანადელ და მომზავებელ სულიერთა მონაზონთა საყოფლად.

ჰოდა, ვინადაც მადლითა და წყალობითა ღმრთისადა აღიდრნეს ნათესავი ქართველთა და ამას წმიდასა მთასა მოიწინეს ნეთ-საყუდელად სულთა მრავალთა და განმამრავლებლად ნათესავისა ჩუენისა და დიდითა ღუანლითა და ფრიადითა წარსაგებელითა აღაშენეს ძმათა ამათ დიდებულნი ესე სავანე სამკვდრებლად ქართველთა.

ჰოდა, ქრისტეს აქეთ 2023 წელსა, მარიამობის 28 დღესა მთაწმიდას მოვიდა საქართველოდან დიდი ელჩიონი და ჩუჭულეებისაებრ მონასტერთასა ჰკრეს ზართა და შემოჰკრბეს მამანი ქართველნი, ბერძენნი და სერბნი და თავუანის-ვეციით ნაწილთა, რომელი არს ფერნი ღირსი მაქსიმე აღმსარებლისა და მიმო-რა-ვიხილვიდით განეკვრდით ქვთ-ხუროთხულობასა ტაძართა და სრათა სავანისასა, რამეთუ ფერადნი მარმარილონი, ბუნებით ყუავილოვნად და ნახებლად გამოყუანილ იყუნეს. მუნ ეკკლესია დიდად პატიოსანი, არა რათ ნაკლულევანი სხუათაგან მონასტერთა მთაწმინდისათა. და მიგვყანეს სადგურად, და კეთილად განგვსუწნეს მშუწნიერსა სრასა სავანისასა.

ჰოდა, ესრეთ კეთილად არს აღმუენებული სავანე იგი, რომელი აღმუენა ძმათა მათ ლიპარტელიანთა და დიდად განეკვრდით და ვისიამოვნეთ მისთა აღნაგობითა და ვილოცვიდით მისდა აღმუენებულთა და ყოველთა კრებულთა მისთა.

ჰოდა, დღესა ღვთისმშობლის მიძინების ბრწყინვალე დღესასწაულისა ეპისკოპოსმან ნიკონმან მიდისა ვახტანგ აკურთხა მონასტერი ესე და სტუმართა ძლეუნი და დიდნი საფასენი და მრავალნი

ტურფანი შეენინეთ სავანესა და რომელთაგანი რაოდენიმე მოვიცნით და სხუად იგი დავაცადლო, რამათა არა ფრიად სიმრავლე წერილისა იქმნას და საწყინო ვიქმნეთ მკითხველთა და მსმენელთა.

ჰოდა, ჩუენ მოვარბანეთ მუნ ოქრო-ცურვებული ხატის ხატი აწყურისა ღვთისმშობლისა, რომელი არს ძლეუნი ტფილისის ივერთის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრისა და დაუტევეთ მუნ სავანისასა მცველთა მისთა გურამ ახალაიამ და მე უღირსმა პაატამ კვალად მისდა.


ჰოდა, დღეის ამას იქით რომელთა ქართველთა განმრავლებამ ილუანონ და ესე წმიდად ადგილი ნათესავსა ჩუენსა დაუმტკიცონ, საუკუნომცა არს სასვენებელი და კურთხევამ მათი! და რომელნიცა ძმანი ამის დიდებულისა სავანისასა სამართლობასა და დამტკიცებასა თანა მოღუანე ექმნნეს, ანუ მოღუანე ექმნენ, საუკუნომცა არს სასვენებელი და კურთხევამ მათი წმიდათა მათ მამათა ჩუენთა და მაშენებელთა და ყოველთა მათ პირველ-მოკსენებულთა ღირსთა და სათნოთა ძმათა ჩუენთა, რომელნი წმიდასა ამას ადგილსა შინა გამოჩდეს ანთუ გინა გამოჩდენ!

ჰოდა, მადლითა და ლოცვითა გუაკურთხენ და აღგუალორძინენ

უფალმან და საუკუნეთა მათ სატანჯველთაგან გვსუნენ და სასუფვეელსა ცათასა მკვდრ გვჩინენ მეოხებითა წმიდისა ღმრთის-მშობელისადა და წმიდისა და ნეტარისა მამათა ჩუენთა და ყოველთა წმიდათადა, რომელნი საუკუნითგან სათნო-ეყვნეს ღმერთსა, რომლისამ არს დიდებამ სიმტკიცემ და სუფევამ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

ჰოდა, გამეღვიძა და კარგა ხანს ვერ და ვერ გამოვერკვიე სიზმრისგან. სხვას რომ შემოეხედა იმ წუთში ჩემთვის, ისეთი გაკვირვებული სახე მექნებოდა, როგორც ამ სურათზე მაქვს, რომელიც მაშინ გადამიღეს, როცა 29 აგვისტოს ათონის ქართული სავანის სახატეში დაბრძანებულ აწყურის ღვთისმშობელს ჩემი პირველი წიგნით დავუდექი წინ და ამ სიზმარში ჩემი მონაწილეობისათვის ჩემი იმ ლექსის სახელითაც მადლობა შევწირე, რომელიც სწორედ მისი წყალობით შევიდა ამ კრებულში მთელი 40 წლის წინათ.

28-29 აგვისტო, 2023 პროვანსა-ივერონი-დაფნი წმინდა მთა



პაატა ნაცვლიშვილი მეორედ მოსვლა

ფიქრები ანჭურის ღვთისმშობლის წინ

დიდი, ცისფერი თევზი აწყდება აკვარიუმის დაორთქილ კედლებს, ის ცდილობს, მაგრამ თავის დაღწევას ამ კედლებიდან ვერასდროს შესძლებს.

ნიშში კიდია ღვთისმშობლის ხატი და ჩვილი ქრისტე მარიამს ეკვრის, მან ჯერ არ იცის, თუკი ამქვეყნად სადმე არსებობს გვირგვინი ეკლის!

ან თუ საერთოდ არსებობს რამე, დედის სითბოს და აღერსის გარდა, ან თუ ოდესმე მოუწევს მისვლა სიკვდილ-სიცოცხლის გარდუვალ ზღვართან.

ბევრი უნდა ჰქმნას, ვითარცა ღმერთმა და უფრო მეტი, ვითარცა კაცმა, მაგრამ არაფერს აპატიებენ — ქრისტეს დასჯიან, მას ელის ჯვარცმა.

რაც წინასწარვე განსაზღვრულია, იმას ვერ შეცვლის ვერც ის და ვერც სხვა და მაცხოვარი აუქციონზე გაიყიდება ოცდაათ ვერცხლად!

საიდუმლოა სერობა ესე, მოციქულები გვერდიგვერდ სხედან, იესო უკვე ზეცად მალდებდა და ძლივს მიათრევს საკუთარ ცხედარს...

და დასხდებიან ოთხთავის წერად იოან, მათე, მარკოზ და ლუკა: ის არ მომკვდარა, მხოლოდ ნავიდა და დაბრუნდება ოდესმე უკან!

აკვარიუმის კედლებს აწყდება თევზი დიდი და ცისფერი ერთობ... ნუ დაბრუნდები, ნუ დაბრუნდები, ნუ დაბრუნდები მიწაზე ღმერთო!

ნუ დაბრუნდები, ნუ დაბრუნდები, რადგან შეხვედრა იქნება მკაცრი, თუ მაინც აღარ დაიშლი შენსას, დაბრუნდი, როგორც უბრალო კაცი!

ჰომეოსის არქივიდან

მთვარისა ქრანალიძე

რომ მოს გიცხოვრებს ხმისაღებ

მინაწერი ბალათერ არაბულის ლექსზე „ჩვენც დავბრუნდებით მანმარში...“

ბალათერ, ხომ არ ბერდები, გულს ჯანლი ხომ არ მოედო, მანმარს მთათა ფერდები ცრემლით რად გავსებ, პოეტო?

მწყემსი თუ გადამთიელდა, მთებიდან დაფრთხა თუ შეველი, მთები თუ დაცარიელდა, ტირილით რაღას უშველი?

რა უცხო ჰანგზე ხმინებ, ზეცას შეშლავლე ხარგივით, ლექსებს ნერ ისეთ ფხიანებს, ალესილ სატევარივით!

შენ საით, შავო ღრუბელო, ან ნასახლარო, საით ხარ? ხან გრიგალი ხარ უბელო, ამოღებული ხმალი ხარ!

ადექ, მთას შემოუძახე, მთას, - თერთ ნისლეზად მოფენილს, მოყვარეს პირში უძრახე, გამოაფხიზლე სოფელი!

მთვარეს ეფვანი ჩამოსუნენ, მთვარეს, ზეციდან მოტყვილს!

იმრავლონ არაბულეზმა აპარეკამ და იმედამ, სუხამ, ბათირამ, გიგოლამ... მთებსამც აესხან მიძებად.

უნდა საქმეებს მიყოლა, არ დაერჩეთ სხვისამც იმედად!

თორემ, ხომ ხედავ, ვმცირდებით, ყველა ქართველის მტერია. მთამ საქართველოს ძირძველი უნდა უცოცხლოს კერია!

უნდა ვიმრავლოთ, რომ აღარ გათითოკაცდეს სოფელი. ვერ ვთვლიდეთ ბალებს სიმრავლით, მანმარს მთებზე მოფენილთ!

მწყემსიც არ გადამთიელდეს, მთიდან არ დაფრთხეს არც შეველი, მთები არ დაცარიელდეს, არ დარჩეს სხვისამც საშველი.

დარდისგან აღარ დავბერდეთ, გულს ჯანლი აღარ მოედოს, მანმარს მთათა კალთებზე სიცოცხლე სჩქეფდეს, პოეტო!

ტირილით ნუ გავჯერდებით, სიფხიზლე უნდა ყოველ დროს, მანმარს მთათა ფერდები რომ გახარებდეს, პოეტო!

გაგმრავლებოდეს მოკეთე, მთას ნისლივით რომ ეფინოს. ყოველი მხრიდან მოკვეთდე, მტერი სულ შემოგეფრთხინოს!

სხვის სურვილს ნუ დაცნებდებით, ვხედავ, სუყველა ყაყიბობს. მანმარს მთათა ფერდები ჯიბის ხურდად არ გაყიდონ!

რომ მთა გიცხოვრებს ხმინადებს, ზეცას შეშლავლე ხარგივით, ლექსებს ნერ ისეთ ფხიანებს, ალესილ სატევარივით!

14. 05. 2015. 6.

მთავარი რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე ელისაბედ მებარაქვილი
ფინანსური მენეჯერი ქატიკან დამატარაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: პალა გველესიანი, მზია პარპაძე
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური პოლდემარ ჰანსი

„ლიტერატურული საქართველოს“
საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი,
GE43BG000000161665862

გაზეთი გაზეთის 2 კვირეული
დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი:
თბილისი, თევდორე მღვდლის 57
ISSN 2720-8540
7 727 20 8 54 003